

„ჯეოქეისის“ წლიური ანგარიში

2020

სარჩევი:

წინასიტყვაობა	4
ლონისძიებები	6
აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის 4-წლიანი დინამიკა	6
საქართველო და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობი პოლიტიკა	8
მეტი დასავლეთი შავი ზღვის რეგიონში: რეალობა და შესაძლებლობები	11
ხათუნა ბურკაძე მეოთხე ეროვნულ ონლაინ კონფერენციაზე.....	14
აშშ-ს არჩევნების შედეგი და მისი გავლენა აშშ-საქართველოს სამომავლო სტრატეგიულ პარტნიორობაზე.....	14
ხელოვნური ინტელექტის თემატიკაზე ონლაინ განხილვა	15
კორუფციის აღმოფხვრა - გაკვეთილები, რომლებიც უნდა ვისწავლოთ.....	17
ისრაელსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების დიპლომატიური მიღწევა და მისი გავლენა ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში	18
ქართველოლოგიის დღე - რიგით 33-ე კონფერენცია	19
პანდემიური და პოსტპანდემიური ონლაინ განათლება	20
საქართველო და მისი სამეზობლო	22
საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება პანდემიის შემდგომ	24
ამერიკისა და კასპიის რეგიონის თემატიკაზე გამართული ონლაინ ფორუმი	25
საქართველო კორონავირუსის დროს: გამოწვევები, შესაძლებლობები და წინ გადადგმული ნაბიჯები.....	26
საქართველოს საარჩევნო რეფორმის საგარეო და საშინაო განზომილებანი	28
შავი ზღვის უსაფრთხოება: დრო კრეატიული ფიქრისთვის და საქართველოს პერსპექტივა	29
ონლაინ განხილვა პოსტ-პანდემიური ევროპისა და საქართველოს ევროპული პერსპექტივის შესახებ	31
კოვიდ19 და საქართველოს ციფრული საფრთხეები.....	32
პოლონეთის აღმოსავლური პოლიტიკა 2019	33
საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია (GDSC)	34
ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი	35
შეხვედრა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ყოფილ ხელმძღვანელთან, უილიამ ლეჰუსთან.....	36
ინტერვიუები და სტატიები	37
ვიქტორ ყიფიანი - ჯეოქეისის თავმჯდომარე	37

COVID-19-ის მოკლე და გრძელვადიანი შედეგები: მსჯელობა „გაქცეულ“ რეჟიმში	37
უსაფრთხოებაზე გამავალი ერთობა: მოსაზრებები, შესაძლებლობები, შეთავაზებები	37
ბაქარ ფალავანდიშვილი - „ჯეოქეისის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე	38
გეოპოლიტიკური რეალობა და ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა	38
საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკა - ნაწილი I	39
ხათუნა ბურკაძე - „ჯეოქეისის“ მკვლევარი, პროფესორი, სამართლის დოქტორი, ფლექტერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლის კურსდამთავრებული	39
ხათუნა ბურკაძე - აშშ-ს მტკიცე მხარდაჭერით საქართველოს ნატო-ში წევრობა დასაჩქარებელია	39
ხათუნა ბურკაძე - დემოკრატიული და განვითარებული საქართველოს გზა ნატოსა და ევროკავშირზე გადის, რასაც ალტერნატივა არ აქვს	40
ხათუნა ბურკაძე - ყველასთვის განათლების ხელმისაწვდომობისა და სწავლების ეფექტიანობისათვის დისტანციური განათლება ცვლილებებს საჭიროებს	41
ზვიად კირტავა - „ჯეოქეისის“ მკვლევარი, პროფესორი, მედიცინის აკად. დოქტორი	42
მეორე ტალღის წინ	42
ახალი კვლევები სეზონურ გაციებასა და Covid-19-ს შორის ჯვარედინი იმუნიტეტის შესაძლებლობაზე მიუთითებენ	42
ლიკა ჭიპაშვილი - „ჯეოქეისის“ მკვლევარი	44
„ბრექსითი“ - საჩუქარი საშობაოდ ევროპას	44
ჯო ბაიდენი და ევროკავშირი: ახლა ტალღები ატლანტის ორივე მხარეს ლურჯია	44
ქართული ქეისი ევროკავშირში	45
გიორგი ანთაძე - „ჯეოქეისის“ მკვლევარი, პარლამენტის კვლევითი ცენტრის მთავარი მკვლევარი	46
ყარაბაღის გაკვეთილები	46
რეგიონალური სამხედრო დისბალანსი და საქართველო : დასკვნები მსჯელობისათვის	47
ჰიბრიდული ომის გააზრებისათვის	47
ბაჩო თორთლაძე - „ჯეოქეისის“ მკვლევარი, საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი	48
ტიკტოკი-ფარული საფრთხე სახელმწიფო სუვერენიტეტისთვის	48
12 წელი აგვისტოს ომიდან- გამოწვევები და პერსპექტივები	48
ინფოგრაფიები	50

წინასიტყვაობა

პატივცემულო საზოგადოება,

გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ პირველი წლიური ანგარიში. მოგეხსენებათ, „ჯეოქეისი“ ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ეფუძნება სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვის, ხელისუფლებებს შორის ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგანჯანსჯის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, ისევე როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების ადვოკატირებასა და ხელშეწყობას.

„ჯეოქეისი“ საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებს ანალიტიკურ მხარდაჭერას უწევს. ასეთი მხარდაჭერის მიზანია ამ ინსტიტუტებმა, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ევროპული და ევროატლანტიკური მიზნების ეფექტიან განხორციელებაზე იქნება ორიენტირებული.

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები ეფუძნება სიტუაციის რეალისტურ ანალიზს და გადაწყვეტილების მიმღებებს პრობლემების გადაჭრის რაციონალურ, ხელშესახებ შედეგზე ორიენტირებულ გზებს სთავაზობს.

2020 წლის იანვრიდან 2020 წლის დეკემბრამდე „ჯეოქეისის“ ხელმძღვანელობამ და მკვლევარებმა 140 სხვადასხვა ტიპის პუბლიკაცია გამოაქვეყნეს (სტატია, ინტერვიუ, ა.შ.) როგორც საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, ისე საერთაშორისო პოლიტიკის თემებზე, მათ შორის გლობალური კრიზისის, პანდემიის პირობებში საერთაშორისო აქტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ცვლილებებსა და პოსტპანდემიური საერთაშორისო სისტემის სამომავლო ტენდენციებზე.

ამასთანავე, „ჯეოქეისმა“ შეიმუშავა და გამოაქვეყნა რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს პანდემიის თანმდევი გამოწვევების გათვალისწინებით საქართველოს მთავრობისთვის ინიციატივების შეთავაზებას ეკონომიკური უსაფრთხოების (აღნიშნული ნაწილით გათვალისწინებული რეკომენდაციები მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრთან თანამშრომლობით), ჯანდაცვის, განათლების, თავდაცვისა და ჰიბრიდული გამოწვევების მიმართულებებით.

ასევე, "ჯეოქეისის" ხელშეწყობით შემუშავდა პოლიტიკის დოკუმენტი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით და არალიარების პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების შესახებ.

"ჯეოქეისის" ორგანიზებით იმართება განხილვები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებთან. ამ ფორმატის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ, სალომე ზურაბიშვილსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ, ეკატერინე ტიკარაძესთან. დისკუსიის თემა გახლდათ „პანდემიის პერიოდში საქართველოს გამოცდილება: გამოწვევები, შესაძლებლობები, გზა მომავლისკენ“. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელებმა და სხვა მაღალი რანგის სტუმრებმა.

"ჯეოქეისი" პერიოდულად, თვეში ერთხელ, გამოსცემს „ალმანახს“, რომელშიც ორგანიზაციის მკვლევარები მიმოიხილავენ საქართველოსთვის აქტუალურ მოვლენებს, ღონისძიებებს, გადაწყვეტილებებს.

"ჯეოქეისის" თავმჯდომარემ და მკვლევარებმა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, გლობალური გამოწვევების საკითხებზე გააკეთეს არაერთი კომენტარი როგორც ქართული, ისე უცხოური მედიასაშუალებების მეშვეობით.

„ჯეოქეისი“ რეგულარულად მართავს ონლაინ დისკუსიებს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე, საქართველოს როლზე, ადგილზე საერთაშორისო სისტემაში როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

„ჯეოქეისის“ წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ ონლაინ საერთაშორისო განხილვებში, მათ შორის კონფერენციებში.

წინასწარ გიხდით მადლობას „ჯეოქეისის“ პირველი წლიური ანგარიშით დაინტერესებისათვის!

თავმჯდომარე ვიქტორ ყიფიანი, ანალიტიკური
ორგანიზაცია „ჯეოქეისი“

ლონისძიებები



აშშ-საქართველოს სტრატეგიული
თანამშრომლობის 4-წლიანი
დინამიკა

თარიღი: 11.12.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“
ორგანიზებით ონლაინ დისკუსია აშშ-

საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის 4 წლიანი დინამიკა“ გაიმართა.

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა ონლაინ განხილვას მოდერატორობა გაუწია. ვიქტორ ყიფიანმა ყურადღება გაამახვილა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურეკონომიკური, უსაფრთხოების მიმართულებით.

„ჩვენი ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობა, მისი სახელმწიფოებრივი განვითარების პერსპექტივა მნიშვნელოვანწილად ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებზე გადის,“- განაცხადა ვიქტორ ყიფიანმა.

საქართველოს სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, დავით ბაქრაძემ, აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის 4 წლიანი დინამიკა მიმოიხილა და აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობები ახლა გამორჩეულია ისე როგორც არასდროს.

„30 წლის განმავლობაში ჩვენ მოვედით იმ უმაღლეს ნიშნულზე, როდესაც ამერიკისთვის საქართველო სამაგალითო პარტნიორი გახდა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. ამერიკა ახლა უფრო მეტად ხედავს იმ მნიშვნელობას, რაც საქართველოს აქვს რეგიონში. ამერიკის მხრიდან \$86 მლნ-დან \$135 მლნ-მდე გაზრდილი წლიური დაფინანსება ადასტურებს, რომ მათი ფინანსური მხარდაჭერის განკარგვა ქვეყანაში სწორი მიმართულებით ტრანსფორმირდება, იქნება ეს დემოკრატიული, ეკონომიკური თუ სამხედრო თანამშრომლობის მიმართულება“, -განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ონლაინ დისკუსიის თანამოდერატორმა, პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე გაამახვილა ყურადღება, მან დისკუსია გახსნა რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლილების, რეგიონის უსაფრთხოებისა და სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის განახლების საკითხების მიმართულებით.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გიორგი ციკოლიამ, დისკუსიისას მიმდინარე წლებში მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგები მიმოიხილა.

„დიდი პოლიტიკური მხარდაჭერა კონგრესის მხრიდან არის ჩვენი შანსი დავიკავოთ ადგილი თავისუფალი ვაჭრობის მიმართულებით და გადავიდეთ მოლაპარაკებების ახალ ეტაპზე. ჩვენი მიზანია, ის სტრატეგიული პარტნიორობა რაც გვაქვს გარდაიქმნას სტრატეგიულ მოკავშირეობაში და გამოვიყენოთ ყველა ის შესაძლებლობა, რაც ჩვენ ხელთ არსებობს,“- განაცხადა გიორგი ციკოლიამ.

დავით ბაქრაძემ სტრატეგიულ პარტნიორობასთან თანამშრომლობის 4 წლიანი დინამიკის შეჯამებისას გამოყო უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომელთა შორისაა 2017 წელს აპროპრიაციის დოკუმენტში, საკანონმდებლო დონეზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ პირველად გაჩენილი ჩანაწერი, არალიარების პოლიტიკის გატარება სანქციების დაწესების გზით, თავდაცვისა და უსაფრთხოების მემორანდუმის გაფორმება, უმსხვილესი ინვესტიციების განხორციელება, ასევე მაღალი რანგის სტუმრების ვიზიტები და მათი მხარდამჭერი მნიშვნელოვანი გზავნილებია.

საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა აშშ-საქართველოს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივის შესახებ აღნიშნა, რომ თეთრ სახლში მოდის გუნდი, რომელიც კარგად იცნობს რეგიონს და საქართველოს, რაც ახალ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის მხოლოდ მკაფიო ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

„საქართველოს დემოკრატიული განვითარების, საქართველოს უსაფრთხოების და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა იყო და რჩება საქართველოს პრიორიტეტად,“-განაცხადა დავით ბაქრაძემ.

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა, დისკუსიის შეჯამებისას, კიდევ ერთხელ ყურადღება გაამახვილა ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული ურთიერთობების დადებით დინამიკაზე და ქართული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წარმატებით

განვითარებაზე ამერიკული სტრატეგიული ინტერესების გადმოსახედიდან. მან ასევე საგანგებოდ აღნიშნა აშშ-ს ელჩის, კელი დეგნანის საქმიანობა და მისი როლი ქვეყნებს შორის კავშირების გაღრმავებაში, ისევე როგორც აშშ-ში საქართველოს დიპლომატიური მისიის შრომა და ძალისხმევა იმ შედეგების მისაღწევად, რაც ორ ქვეყანაც შორის პარტნიორობას ღლეს ასე გამოარჩევს.

<https://www.geocase.ge/ka/news/327/jeoqeisis-organizebit-onlain-diskusia-ashsh-saqartvelosstrategiuli-tanamshromlobis-4-tslani-dinamikis-shesakheb-gaimarta>

შეხვედრის ჩანაწერი: <http://bit.ly/3qpW5wY>


საქართველო და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობი პოლიტიკა

თარიღი: 09.12.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“

ორგანიზებით ონლაინ დისკუსია „საქართველო და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობი პოლიტიკა“ გაიმართა.



„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა, ონლაინ განხილვას მოდერატორობა გაუწია. ვიქტორ ყიფიანმა საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობა და გამოწვევები მიმოიხილა.

„ბოლო ათწლეულის მანძილზე ჩვენ მრავალგვარი კრიზისის მონმე გავხდით, იყო ეს ნავთობთან დაკავშირებული კრიზისი, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება თუ გარკვეული პოლიტიკური არასტაბილურობა. ყველა ამ პრობლემამ უდიდესი გამოწვევები შეუქმნა ქართულ ეკონომიკას, თუმცა ის კრიზისი რის წინაშეც ამჟამად ვდგავართ - კოვიდ19ის პანდემია, სრულიად უნიკალურია თავისი თვისობრივობით, კომპლექსურობითა და ხანგრძლივი შედეგებით. ამიტომაც, უმნიშვნელოვანესია მეტი ძალისხმევის მიმართვა რომ მოვიძიოთ უნიკალური გზები და საშუალებები, რომლებიც ბიძგს მისცემენ ეროვნული ეკონომიკის ზრდას“, - განაცხადა ვიქტორ ყიფიანმა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) უფროსმა ეკონომისტმა, Georgetown University-ის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორმა ფუად ჰასანოვმა ე.წ. „აზიური სასწაულის“ ქვეყნების მაგალითი განიხილა და ძირითად 3 პრინციპზე გაამახვილა ყურადღება, როგორც მათი ეკონომიკური ზრდისა და წარმატების საფუძველზე: 1) მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიების განვითარება; 2) ექსპორტის განვითარება; 3) მჭიდრო კონკურენცია (როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე) და მკაცრი ანგარიშვალდებულება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) უფროსმა ეკონომისტმა, რედა შერიფმა მძიმე ეკონომიკური სიტუაციისგან თავის დაღწევისა და წინსვლისთვის ინოვაციებისა და ტექნოლოგიის გამოყენების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„შეუძლებელია მცირე ეკონომიკებმა განვითარების სათანადო დონეს გახსნილობის გარეშე მიაღწიონ. დიდ ეკონომიკებსაც კი არ ძალუძთ ჩაკეტილ სივრცეში განვითარება. ჩინეთის წარმატებას თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ დიდწილად, იგი სხვა ეკონომიკების მიმართ გახსნილობას და მათთან ვაჭრობის განვითარებას ემყარება. ინდოეთმაც მას შემდეგ დაიწყო სწრაფად განვითარება რაც სხვა ქვეყნებთან დაამყარეს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები, ასე რომ, შეუძლებელია თუნდაც დიდი ქვეყნების ეკონომიკის ჩაკეტვა, რადგან განვითარებისათვის აუცილებელია კონკურენცია, ტექნოლოგიებზე წვდომა, ვალუტა და ა.შ.“- განაცხადა რედა შარიფმა.

დისკუსიისას, სელიმ ჩაქერმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) წარმომადგენელმა საქართველოში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხედვა წარადგინა საქართველოს მიმდინარე და მომავალი წლის ეკონომიკური პერსპექტივების შესახებ.

„ჩვენ ვხედავთ საქართველოს დროულ თანამშრომლობას დონორებთან. სათანადო მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება ქვეყანას საშუალებას აძლევს შეამსუბუქოს კრიზისის გავლენა ეკონომიკაზე. ქვეყნის ფინანსური სისტემა კარგ მდგომარეობაშია, ბიუჯეტში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და ბიზნესის დროებითი მხარდაჭერა. ეროვნული ვალუტის გაუფასურება კონტროლდება და ინფლაცია უკვე მიუახლოვდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ 3%-ს. მიუხედავად მიმდინარე წელს ეკონომიკური ზრდის 5%-იანი შემცირებისა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ შეძლო გაცილებით უარესი შედეგის თავიდან აცილება შოკის სიმძლავრიდან გამომდინარე. გამოწვევები ნამდვილად რჩება 2021 წლისთვის, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სათანადო პოლიტიკა და პანდემიის ეფექტიანად მართვა და დონორების დახმარებით ეკონომიკაზე მისი გავლენის

შემსუბუქებისაკენ მიმართული მუდმივი მცდელობები საქართველოს საშუალებას მისცემს გადალახოს ეს რთული პერიოდი. იმედია, მომავალ წელს ამ დროისათვის მაკროეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნება ვიდრე დღესაა”- განაცხადა ბატონმა ჩაქერმა.

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ გამგეობის წევრმა, ბაქარ ფალავანდიშვილმა მოკლედ მიმოიხილა საქართველოს ეკონომიკის ძირითადი სტრუქტურა და მისი პოტენციური საქონლის ექსპორტის თვალსაზრისით. მან, ასევე, ისაუბრა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობაზე ქვეყანაში მეტი ადგილობრივი საწარმოო შესაძლებლობების შექმნისა და განვითარების კუთხით, რაც ქვეყნის ეკონომიკის ხელისშემწყობი ფაქტორია. ბაქარ ფალავანდიშვილმა, აგრეთვე, ხაზი გაუსვა საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობას განსავითარებელი სექტორების არჩევის თვალსაზრისით, რაც ასევე ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას.

”საერთაშორისო რეიტინგები, რომელშიც საქართველო მონაწილეობს, შესაძლოა გარკვეული სახის სასიგნალო როლს ასრულებდეს ინვესტორებისთვის, თუმცა ამ როლს ზედმეტად არ უნდა დავეყრდნოთ, რადგან ინვესტორისათვის რეალური მიმანიშნებელი ფაქტორი ინვესტიციების განსახორციელებლად საქართველოში შექმნილი ბიზნეს-გარემო და ის ინვესტორები არიან, რომლებიც ქვეყანაში უკვე საქმიანობენ.”- განაცხადა ბაქარ ფალავანდიშვილმა.

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა, დისკუსიის შეჯამებისას, კიდევ ერთხელ ყურადღება გაამახვილა საქართველოს რეალობაში არსებულ გამოწვევებზე, რომლებიც უცხო არაა მსგავსი მონაცემებისა და ეკონომიკის ქვეყნებისათვის, თუმცა არსებული პრობლემების დასაძლევად საჭიროა მეტი ინოვაციური და არაშაბლონური მიდგომის გამოყენება. მისი განცხადებით, პანდემიამდე საქართველოს მაკროეკონომიკის ყველა პარამეტრი მეტ-ნაკლებად დადებითი იყო, ამ ეტაპზე კი მეტი რამ უნდა გაკეთდეს კრიზისის გადასალახად და ეკონომიკის ნორმალურ რეჟიმში დასაბრუნებლად.

”როდესაც საქართველოს ეკონომიკაზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ უპირველეს ყოვლისა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისა და მეგობრების დახმარებით, ასევე, ჩვენი წინდახედულობით, გამბედაობითა და კომპეტენტურობით შევძლებთ გავუმკლავდეთ სირთულეებს და შევქმნით უკეთეს მომავალს“,- განაცხადა ვიქტორ ყიფიანმა.

<https://www.geocase.ge/ka/events/81/jeoqesis-organizebit-saqartvelos-ekonomikuri-ganvitarebispolitikis-shesakheb-onlain-diskusია-gaimarta>

შეხვედრის ჩანაწერი: <http://bit.ly/3su5e9L>



მეტი დასავლეთი შავი ზღვის
რეგიონში: რეალობა და
შესაძლებლობები

თარიღი: 01.12.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“
ორგანიზებით ონლაინ დისკუსია “მეტი

დასავლეთი შავი ზღვის რეგიონში: რეალობა და შესაძლებლობები“ გაიმართა.

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა ონლაინ განხილვას მოდერატორობა გაუწია. ვიქტორ ყიფიანმა ყურადღება გაამახვილა იმ შესაძლებლობებზე, რომელიც საქართველოს წინაშე დგას რეგიონული მოცემულობიდან გამომდინარე.

„ახალი საფრთხეები და ახალი გამოწვევები ყოველთვის ახალი შესაძლებლობებიცაა. ეს დამოკიდებულია ადამიანის შემოქმედებითი და თამამი გადაწყვეტილების მიღების უნარზე საჭირო დროს. დღეისთვის დასავლეთი რეგიონში სათანადოდ არ არის წარმოდგენილი,“- განაცხადა ვიქტორ ყიფიანმა.

ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების ყოფილი მეთაური, გენერალი ბენ ჰოჯესი მიიჩნევს, რომ საქართველო ნატო-ში ახლავე უნდა მიიწვიონ.

ამერიკელმა გენერალმა შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ აშშ და ნატო უფრო მეტად ფოკუსირებულები უნდა იყვნენ ამ რეგიონზე. მან ასევე ჩამოთვალა ის ნაბიჯები, რომლებიც მისი აზრით, აშშ-მა საქართველოს მხარდასაჭერად უნდა გადადგას.

„პირველი - ახლავე მივიწვიოთ საქართველო ნატო-ში. ჩვენ გვაქვს პრეცედენტი, დასავლეთ გერმანია ნატო-ს წევრი გახდა, როდესაც აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა ჯარი იდგა. ასე

რომ, არსებობს სახელმწიფოს ნატო-ში მიწვევის პრეცედენტი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი ნაწილი ოკუპირებულია რუსეთის მიერ“, - განაცხადა ჰოჯესმა.

მან კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად, უფრო მეტი და მასშტაბური სამხედრო წვრთნების ჩატარება დაასახელა. მესამე ნაბიჯად გენერალი საქართველოში სამხედრო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ჩადებას მიიჩნევს.

როგორც ვახტანგ კაპანაძემ, გადამდგარმა გენერალ-მაიორმა, ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს თავდაცვისა და სამხედრო წარმომადგენლობის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ვებინარში მონაწილეობისას აღნიშნა, მიუხედავად ერთი შეხედვით სამხედროპოლიტიკური წარმატებისა რეგიონში, გრძელვადიანი პერსპექტივით რუსეთმა იწვინა გეოპოლიტიკური მარცხი, რაც გამოიხატა: დაკარგა ნდობა ყველაზე ახლო მოკავშირესთან რეგიონში სომხეთის სახით და ვერ დაძლია უნდობლობა აზერბაიჯანთან; რუსეთზე დამოკიდებული ქვეყნებისთვის ნათლად გამოჩნდა, რომ მოსკოვის ქოლგის ქვეშ ყოფნა უსაფრთხოების გარანტიას არ იძლევა და აუცილებელია სხვა მოკავშირის ძიება. ამასთანავე, პირველად ბოლო ასწლეულის პერიოდში, თურქეთი აქტიურად და წარმატებით ჩაერია იმ ზონაში, რომელიც უპირობოდ ითვლებოდა რუსეთის ინტერესების ექსკლუზიურ არედ.

“აღნიშნული რეალობა, რუსეთისგან მოითხოვს პოლიტიკურ რეაბილიტირებას მსოფლიოს და პირველ რიგში, პოსტსაბჭოთა სივრცეში, რაც მოსალოდნელია გამოიხატოს პროვოკაციებისა და ზეწოლის გააქტიურებაში. შესაბამისად, ამ მოცემულობაში მნიშვნელოვანია, როგორც ნატოს გააქტიურება, ასევე საქართველო-აშშ-ის ორმხრივი ურთიერთობის ინტენსირება,“- განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ.

„ჯეოქეისის“ მკვლევარმა, პროფესორმა, ხათუნა ბურკაძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მზაობასა და მნიშვნელობაზე. ასევე ნატოს გაფართოების ისტორიულ ასპექტებზე. როგორც პროფესორმა ბურკაძემ აღნიშნა, ნატოში ინტეგრაციას უსაფრთხოება და სტაბილურობა მოაქვს ქვეყნებსა და რეგიონებში.

„ჯეოქეისის“ მკვლევარმა, პროფესორმა, ხათუნა ბურკაძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მზაობასა და მნიშვნელობაზე. ასევე, მან ნატოს გაფართოების ისტორიულ ასპექტებზეც ისაუბრა. როგორც პროფესორმა ბურკაძემ აღნიშნა, ნატოში ინტეგრაციას უსაფრთხოება და სტაბილურობა მოაქვს ქვეყნებსა და რეგიონებში.

„ჩვენი პარტნიორების დახმარებით, საქართველომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით შესაბამის შედეგებს მიაღწია. ქართველმა ხალხმა აჩვენა ერთგულება დასავლური ღირებულებების მიმართ. ჩვენი მამაცი ჯარისკაცები ჩვენს პარტნიორებთან ერთად უზრუნველყოფენ საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში აშშ-მ 100 მილიონამდე დახმარება გამოყო უშუალოდ საქართველოსთვის უსაფრთხოების სფეროში რეფორმების მხარდასაჭერად. ჩვენი ქვეყანა აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან. ასევე, ჩვენ ვთანამშრომლობთ ალიანსის სხვა წევრებთან ევროატლანტიკური კავშირების გაღრმავებისა და შავი ზღვის უსაფრთხოების გასაძლიერებლად,“ - განაცხადა ხათუნა ბურკაძემ.

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ ვიქტორ ყიფიანმა ვებინარის შეჯამებისას აღნიშნა, რომ ახლა რეგიონისთვის გარდამტეხი მომენტია თვისებრივად ახალი გადაწყვეტილებების მისაღებად.

„მიუხედავად პანდემიის მსოფლიო გამოწვევისა, როგორც საქართველომ, ასევე დასავლეთმა დროული ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას საერთო ინტერესების სასარგებლოდ. მნიშვნელოვანია, მოქმედებებში სისწრაფე, ადეკვატურობა, რომ არ ჩამოვრჩეთ მოვლენათა დინამიკას“, - განაცხადა ვიქტორ ყიფიანმა.

<https://www.geocase.ge/ka/news/318/analitikuri-organizacia-jeoqeisis-organizebit-onlain-diskusiametidasavleti-shavi-zghvis-regionshi-realoba-da-shesadzleblobebi-gaimarta>


შეხვედრის ჩანაწერი: <http://bit.ly/3g0SVMp>



ხათუნა ბურკაძე მეოთხე ეროვნულ ონლაინ კონფერენციაზე

თარიღი: 30.11.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი



ხათუნა ბურკაძემ მეოთხე ეროვნულ ონლაინ კონფერენციაზე დისტანციური სწავლების საერთაშორისო ტენდენციებსა და ინიციატივებზე ისაუბრა.

ხათუნა ბურკაძის ინიციატივა გულისხმობს საქართველოსა და ესტონეთს შორის ციფრული განათლების სფეროში ორმხრივი

ფორმატის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ციფრული შესაძლებლობების განვითარებას.

შეხვედრის ჩანაწერი: <https://bit.ly/3ifwmVc>

აშშ-ს არჩევნების შედეგი და მისი გავლენა აშშ-საქართველოს სამომავლო სტრატეგიულ პარტნიორობაზე

თარიღი: 11.11.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი



ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“

ორგანიზებით ონლაინ დისკუსია „აშშ-ს არჩევნების შედეგი და მისი გავლენა აშშ-საქართველოს სამომავლო სტრატეგიულ პარტნიორობაზე გაიმართა. „ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა ონლაინ დისკუსიას მოდერატორობა გაუწია.

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა ისაუბრა საგარეო ურთიერთობებში შესაძლო ცვლილებებსა და მრავალმხრივ ინიციატივებზე.

მან ხაზი გაუსვა: „ჩემთვის ნათელია, რომ ჩვენ ყველა უნდა მოვემზადოთ ახალი ლოკალიზაციის პოლიტიკის გრძელვადიანი მცდელობებისთვის, - რეგიონული კუთხით და თამაშის ახალი წესების კუთხით - მსოფლიო მასშტაბით.“


ონლაინ შეხვედრაზე ჰადსონის ინსტიტუტის პოლიტიკურ-სამხედრო ანალიზის ცენტრის დირექტორმა რიჩარდ ვეიცმა; Heritage Foundation-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯეიმს ჯეი კარათანომ და „ჯეოქეისის“ მკვლევარმა, პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ ისაუბრეს აშშ-ს არჩევნების შედეგების გარე და შიდა განზომილებებზე.

პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ ხაზგასმით აღნიშნა: „პირველ რიგში, აშშ არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ძლიერი მხარდამჭერი. მეორე, აშშ მხარს უჭერს საქართველოში დემოკრატიის განმტკიცებას. მესამე, აშშ და საქართველო მიზნად ისახავს, მათი თავდაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლობის მასშტაბის გაფართოებას. მეოთხე, შეერთებული შტატები ხელს უწყობს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში.“

„საერთო ჯამში, შეერთებულ შტატებთან მრავალმხრივი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საქართველოს მიაღწიოს მიზნებს ევროატლანტიკურ გზაზე და გააძლიეროს სტრატეგიული ურთიერთობები,“ - დაამატა პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ.

<https://www.geocase.ge/en/news/303/geocase-organized-online-discussions-on-the-us-election-results>

შეხვედრის ჩანაწერი: <http://bit.ly/2LBYuGb>



ხელოვნური ინტელექტის
თემატიკაზე ონლაინ განხილვა

თარიღი: 30.10.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისი“-
ს ორგანიზებით ხელოვნური
ინტელექტის, მათ შორის სხვადასხვა

დარგში ინტელექტუალური რობოტების გამოყენების შესახებ დისკუსია გაიმართა. ონლაინ ღონისძიების მიზანი იყო ხელოვნური ინტელექტის როგორც შესაძლებლობების, ისე გამოწვევების გაანალიზება.

„ჯეოქეისი“-ს მკვლევარმა, პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ ონლაინ განხილვას მოდერატორობა გაუწია. მან აღნიშნა: „ხელოვნური ინტელექტის განვითარების სტრატეგიული ხედვა აქვს არაერთ წამყვან, განვითარებულ სახელმწიფოს, მათ შორის აშშ-ს, ესტონეთს, საფრანგეთს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას“.

„ხელოვნური ინტელექტის მიღწევების ფონზე სასურველია, საქართველოს მიერ ხელოვნური ინტელექტის განვითარების თვალსაზრისით შესაბამისი სტრატეგიული ხედვის შემუშავება. მით უფრო იმ ფონზე, რომ ჩვენს პარტნიორებს ამ მიმართულებით სათანადო საგზაო რუკები აქვთ, რომლებიც ხელს უწყობენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით არამართო ციფრული მმართველობის, ციფრული პოლიტიკის განვითარებას, არამედ ცალკეული დარგების, მათ შორის ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობის, იუსტიციის სისტემების გარდაქმნას“, - დასძინა ხათუნა ბურკაძემ.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრისა და ხელოვნური ინტელექტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიად გაბისონიამ განაცხადა: „აუცილებელია დაჩქარდეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება როგორც განათლების, ისე მეცნიერების მენეჯმენტში. განათლების სისტემაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელს გახდის უფრო ეფექტური გახდეს მთელი სისტემის მენეჯმენტი, ხოლო მეცნიერების სხვადასხვა დარგში ხელოვნური ინტელექტის დანერგვა გააუმჯობესებს დიდი მოცულობის ინფორმაციის გაანალიზებასა და მეცნიერული შედეგების სწრაფ მიღწევას. ამ უკანასკნელის მაგალითია სამხრეთ კორეა, რომელმაც კოვიდთან დაკავშირებით კვლევებზე სწორედ ხელოვნური ინტელექტი გამოიყენა“.

„ინტერნეტის განვითარების ინიციატივის“ გამგეობის თავმჯდომარემ, ვლადიმერ სვანაძემ აღნიშნა: „კიბერუსაფრთხოების სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სულ უფრო აქტუალური ხდება და შესაბამისად, იზრდება მიწოდების ბაზარიც. ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს და მის აქტუალობას ეროვნულ დონეზე აღნიშნავენ კიბერუსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგიებში, რადგან ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია შესაბამისი მოთხოვნების ზრდა უსაფრთხოებაზე. ამავდროულად, გლობალური მასშტაბით ჩნდება სულ უფრო ახალი ინიციატივები სტანდარტებისა და სასერთიფიკატო პროცედურების განსაზღვრის შესახებ, მომხმარებლების მიერ ხელოვნური ინტელექტის მიმართ ცნობიერების ამაღლებისა და მის მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით“.

ხელოვნური ინტელექტის სფეროში ექსპერტმა მიხეილ რუხაიამ ისაუბრა ინტელექტუალურ რობოტებზე, რომელთა მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ჩვეულებრივი (არაინტელექტუალი) რობოტებისგან არის ავტონომიურობა და სწავლის კომპონენტები.

<https://www.geocase.ge/ka/news/283/jeoqei-s-organizebit-khelovnuri-inteleqtis-tematikaze-onlaingankhilva-gaimarta>

შეხვედრის ჩანაწერი:

- პირველი ნაწილი: <http://bit.ly/3qqmH12>
- მეორე ნაწილი: <https://bit.ly/3nMUks9>

კორუფციის აღმოფხვრა -
გაკვეთილები, რომლებიც უნდა
ვისწავლოთ

თარიღი: 21.10.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ
ყიფიანმა და მკვლევარმა, ბაჩო თორთლაძემ მონაწილეობა



The poster is for a webinar titled "Eradicating Corruption – Lessons to be learnt". It features the Geocase logo at the top center, flanked by "Compliance" and "maruti global" logos. The text indicates it is a Webinar on October 21, 2020, at 12:00 MIDDAY (GET) / 10:00AM (SAST). A registration link is provided: Register Now – Webinar@mycompilance.global. Below the text are four portraits of the participants: Roger Latchman (Host), Victor Kipiani (Co-host), Bacho Tortladze (Presentator), and Dr Abiola Makinwa (Special Guest).

მიიღებო ონლაინ სემინარში "კორუფციის აღმოფხვრა - გაკვეთილები, რომლებიც უნდა ვისწავლოთ", სადაც განიხილეს საჯარო და კერძო სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო გზები. ღონისძიებას მმასპინძლობდა როჯერ ლეტჩმანი, Chartered Director, Certified Compliance and Ethics Professional-International, One of SA's leading AntiCorruption experts, Honorary Consul of Georgia, Johannesburg. ხოლო მოდერატორობას უწევდა, განსაკუთრებული სტუმარი, პროფესორი აბიოლა მაკინვა, ჰააგის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის კომერციული სამართლის უფროსი ლექტორი (Senior Lecturer in Commercial Law at The Hague University of Applied Sciences).

<http://bit.ly/3bJIOMM>



ისრაელსა და არაბთა
გაერთიანებული საემიროების
დიპლომატიური მიღწევა და მისი
გავლენა ახლო აღმოსავლეთსა და
სამხრეთ კავკასიაში

თარიღი: 19.10.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი

13 აგვისტოს ისრაელმა და არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა (არაბთა გაერთიანებულ საემიროებში) განაცხადეს, რომ გეგმავენ ურთიერთობების ნორმალიზებას. შეთანხმება მოიცავს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას შუა აღმოსავლეთის ორ ქვეყანას შორის. სექტემბერში ასევე მოჰყვა ბაჰრეინთან ურთიერთობების ნორმალიზებას.

შეთანხმებებში აღინიშნა ისრაელის უკანასკნელი სერია, რომელიც არაბულ ქვეყნებთან დიპლომატიური შეთანხმებების ხელმოწერას ახდენს 1979 წელს ეგვიპტესთან და 1994 წელს იორდანიასთან მსგავსი გარიგების მიღწევის შემდეგ. დიპლომატიური ურთიერთობები ელჩების დონეზე.

ამ ორ მოვლენას რეგიონის მასშტაბის შედეგები მოჰყვა, დაწყებული აშშ-ს საგარეო პოლიტიკიდან შუა აღმოსავლეთში, არაბული სახელმწიფოების პოზიციამდე, ირანის დასუსტებულ დიპლომატიურ პოზიციამდე.

ანალიტიკურმა ორგანიზაცია „ჯეოქეისი“-მა ორგანიზება გაუწია დისკუსიას „Israel-UAE Diplomatic Breakthrough and its Impact for Middle East and South Caucasus“. დისკუსიაში განიხილეს თუ როგორ მოქმედებს ბოლოდროინდელი დიპლომატიური გარიგებები ისრაელ-პალესტინის ურთიერთობებზე და, ახლო აღმოსავლეთში; არის თუ არა ეს არაბულ სამყაროში მშვიდობისმყოფელობის ახალი რაუნდის დასაწყისი; როგორ მოქმედებს ეს ირანის პოზიციაზე რეგიონში; და რა გავლენას ახდენს დიპლომატიური გარღვევა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე.

<https://www.geocase.ge/en/news/278/israel-uae-diplomatic-breakthrough-and-its-impact-for-middleeast-and-south-caucasus> შეხვედრის ჩანაწერი: <https://bit.ly/2N0H1aI>

**UNIVERSITY OF
RIGOUR
RESEARCH
RESULTS
WESTMINSTER**

33rd Annual Georgian Studies Day
The Georgian Experience of Covid-19
Thursday 8th October, 2020 (Online meeting)



Host: School of Life Sciences (SLS)
University of Westminster

Convenors: Dr Tamara Dragadze, Dr Nina Porakishvili and Professor Peter M Lydyard

Programme:

- 9.00 Opening remarks: **Dr Tamara Dragadze**, GSD co-convenor
- 9.05 Welcome remarks: **President of Georgia Her Excellency Ms Salome Zurbishvili**, **Mr Mikheil Chkhikeli**, Minister of Education, **UOW: Prof Andrew Linn**, Pro Vice-Chancellor; **Prof Brendon Noble**, Head of School of Life Sciences; **Prof Roland Dannreuther**, Director, New Forum for Uzbek and Silk Road Studies, **His Excellency Mark Clayton**, British Ambassador to Georgia.
- 9.35 **Her Excellency Sophio Katsarava**, Georgian Ambassador to UK 'Overview of current situation in Georgia, covering economics, politics and international relations in the light of Covid-19'
- 9.45 **Prof Amiran Gankrelidze**, Director General, National Centre for Disease Control and Public Health, Georgia 'Achievements and challenges of COVID-19 - lessons learned in Georgia'
- 10.05 **Prof Adrian Hayday**, Francis Crick Institute, London 'Immunity to SARS - CoV- 2 with implications for vaccines'
- 10.25 Questions and answers
- 10.35 **Mr Daniel Hamilton**, FTI consulting, Managing Director 'Georgia during lockdown – a personal experience'
- 10.50 **Prof Alexander Tevzadze**, Rector, Kutaisi International University 'Online teaching after Covid-19'
- 11.05 **Prof Tamar Gagoshidze**, Dean, Faculty of Psychology and Educational Sciences, TSU, 'A Psychologist's view on Parent - Child relationships during the pandemic'
- 11.20 Questions and answers
- 11.30 **Prof Ekaterine Dgebuadze**, Deputy Minister of Education, Science, Culture and Sport of Georgia: 'Education'
- 11.45 **Ms Mariam Kvirivishvili**, Head of Tourism Administration of Georgia: 'Georgia safe travel destination: New projects and opportunities in the tourism sector during Covid-19'
- 12.00 **Prof Lia Melikishvili** and **Dr Tamara Dragadze**, 'Sociology and Ethnography of lockdown in Georgia'
- 12.15 **Ms Lika Tchikashvili**, GEOCASE 'Civic engagement during Covid-19: British-Georgian Friendship and Solidarity'
- 12.25 **Mr Peter Nasmyth**, 'Heritage and the Pandemic – an illustrated talk'
- 12.40 Questions and Answers
- Twinning Reports on work in progress
- 12.50 Bristol: **Derek Pickup**
- 12.54 Newport: **Caroline McLachlan**
- 12.58 Newcastle: **David Gigaauri**
- 1.02 Mkuwali: **Nino Chubabria**, Director of Mkuwali
- 1.06 British Georgian Society: **Tamar Lordkipanidze**, Chairman BGS
- 1.10 Closing remarks: **Dr Tamara Dragadze** and
Thanks: **Dr Nina Porakishvili** and **Prof Peter M Lydyard**



ქართველოლოგიის დღე - რიგით 33-ე კონფერენცია

თარიღი: 08.10.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი

2020 წლის 8 ოქტომბერს, "ჯეოქეისის" მკვლევარმა, ლიკა ჭიპაშვილმა მონაწილეობა მიიღო ყოველწლიურ კონფერენციაში „ქართველოლოგიის დღე“, რომელიც ბრიტანულ-ქართული საზოგადოებისა და დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებითა და ვესტმინსტერის უნივერსიტეტის მასპინძლობით დისტანციურ ფორმატში

გაიმართა.

ქართულ-ბრიტანული ყოველწლიური კონფერენცია საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გახსნა. ღონისძიება წელს Covid-19-თან ბრძოლაში საქართველოს გამოცდილებას მიეძღვნა და მასში მონაწილეობა მიიღეს დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩმა სოფიო ქაცარავამ, საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩმა მარკ კლეიტონმა, საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის აკადემიური და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებმა, ორი ქვეყნის დამეგობრებული ქალაქების შესაბამისი გაერთიანებების წევრებმა და სხვ.

კონფერენციაზე „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი, ლიკა ჭიპაშვილი მოხსენებით წარსდგა თემაზე: „სამოქალაქო ჩართულობა Covid-19-ის დროს: ქართულ-ბრიტანული მეგობრობა და სოლიდარობა“. სიტყვით გამოსვლისას მან ყურადღება გაამახვილა ქართული სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ბრიტანული მხარის ურთიერთანამშრომლობაზე Covid-19-ის პანდემიის კონტექსტში და ხაზი გაუსვა დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერის მნიშვნელობას სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობაში საქართველოში. ამასთან, თავის გამოსვლაში

ლიკა ჭიპაშვილმა აღნიშნა, პანდემიის რთულ პერიოდში, დიდ ბრიტანეთში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების/გაერთიანებების მიერ განხორციელებული საქმიანობა ადგილზე მყოფი თანამემამულეების დახმარების მიზნით. მან, აგრეთვე, ისაუბრა ბრიტანელი ახალგაზრდებისა და ბრიტანეთში მყოფი საერთაშორისო სტუდენტების იმ მხარდაჭერასა და სოლიდარობაზე, რომელიც მათ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ - მიმდინარე წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან მე-12 წლისთავთან დაკავშირებით გამოხატეს დიდ ბრიტანეთში საქართველოს ახალგაზრდა ელჩის მიერ ორგანიზებულ ფართო ონლაინ ვიდეო-კამპანიის ფარგლებში.

ქართულ-ბრიტანული კონფერენცია „ქართველოლოგიის დღე“ წელიწადში ერთხელ ტარდება და წელს იგი უკვე 33-ედ გაიმართა.

<https://www.geocase.ge/ka/news/268/jeoqesis-mkvlevarma-lika-tchipashvilma-monatsileoba-miighoqartul-britanul-yoveltsiur-konferenciashi-qartvelologiis-dghe> <http://bit.ly/2Kn556S>

პანდემიური და პოსტპანდემიური ონლაინ განათლება

თარიღი: 13.08.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი



ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“

ორგანიზებით ონლაინ დისკუსია თემაზე: „პანდემიური და პოსტ-პანდემიური ონლაინ განათლების შესაძლებლობები და გამოწვევები“ გაიმართა.

„ჯეოქეისი“-ს მკვლევარმა, პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ ონლაინ განხილვას მოდერატორობა გაუწია.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ნუნუ მიცკევიჩმა აღნიშნა: „მოგეხსენებათ, რომ ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით, სწავლის პროცესი მთლიანად გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე. მსოფლიო პანდემია იყო ახალი გამოწვევა თითქმის ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი განათლების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, განათლების სისტემამ და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მოახერხეს მოცემულ ვითარებაში ადაპტირება, დროულად და ეფექტიანად

გადაწყვეტენ დისტანციური სწავლების რეჟიმზე, გამოიყენეს სამინისტროს მიერ შეთავაზებული ყველა რესურსი და შედეგად წარმატებით დაასრულეს სემესტრი“.

„ბუნებრივია, ეს არ იყო ადვილი და ამ უდიდესი ძალისხმევითვის, კიდევ ერთხელ, მადლობას ვუხდით უნივერსიტეტების რექტორებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს“, - დასძინა ნუნუ მიცკევიჩმა.

„ჯეოქეისი“-ს მკვლევარმა, პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ ონლაინ განათლების განვითარების ხუთპუნქტიან გეგმაზე ისაუბრა. „პირველი, მნიშვნელოვანია იმ ინიციატივების შემუშავება, რომლებიც განათლების სტრატეგიაში ონლაინ სწავლების როლს მეტად გამოკვეთს მომავალში, განსაკუთრებით კრიზისის ეფექტიანად მართვის პროცესში. მეორე, აუცილებელია საყოველთაო ინტერნეტიზაციასთან დაკავშირებული პროექტების გააქტიურება. მესამე, სასურველია, საგანმანათლებლო სივრცეში ციფრული მმართველობის განვითარება საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, განსაკუთრებით ესტონეთის მაგალითზე. მეოთხე, აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური პერსონალის ციფრული უნარ-ჩვევების რეგულარულად განვითარება და მეხუთე, მნიშვნელოვანია ახალი დისტანციური საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცენტრალიზებული ონლაინ პლატფორმების შექმნა, რაც გაადვილებს საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომას“, - აღნიშნა ხათუნა ბურკაძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ განაცხადა: „ის სირთულეები, რომლის წინაშეც აღმოჩნდა განათლების სექტორი დაიძლია ურთიერთთანადგომით და სოლიდარობით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო საზოგადოებაში. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვისწავლოთ როგორ ვიცხოვროთ ახალ სამყაროში. ინტერნაციონალიზაციის სხვა გზებზე უნდა ვიფიქროთ. უცხოელ კოლეგებთან კონსულტაციის გზით ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ დაგროვილი გამოცდილება და მეტი რესურსი და ყურადღება უნდა დაეთმოს ღია მეცნიერებას და ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარებას“.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ზურაბ ხონელიძემ აღნიშნა: „ზოგადად საუნივერსიტეტო იდეა განიცდის კრიზისს და ესაჭიროება დროსთან ადეკვატური ინოვაციური იდეებითა და განვითარებაზე ორიენტირებული მოქმედებით განახლება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული მნიშვნელობა, განსხვავებული სტატუსი, ექსკლუზიური სოციალური მისია არ ამოიწურება მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციით,

უპირატესობასთან ერთად, იგი არა მხოლოდ საკუთარ ბედზე, არამედ ქვეყნის ერთიანობაზე-სამშობლოზე ზრუნვის ისტორიული პასუხისმგებლობაა. ამისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს მშვიდობის ახალ ქართულ პარადიგმას - „საუნივერსიტეტო დიპლომატიას“, რამაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა გახადოს რეგიონში სამშვიდობო განათლების ჰაბად“.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორმა ნინო ენუქიძემ განაცხადა: „ონლაინ განათლება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა, კოვიდ-19-მა ზრდის ტემპი კიდევ უფრო დააჩქარა. BTU-მ უმოკლეს დროში შექმნა ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმა ESx.ge, რომლითაც სარგებლობას ჩვენი სტუდენტების გარდა სხვა დაინტერესებული პირებიც შეძლებენ და მისი განვითარების სტრატეგია ძალიან მასშტაბურ გეგმებს აერთიანებს“.

კავკასიის უნივერსიტეტის რექტორმა კახა შენგელიამ აღნიშნა: “ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად შეცვლიან საქართველოს განათლების სისტემას და აუცილებელია ხელი შევუწყოთ მის ანუ ტექნოლოგიების განვითარებას, რომ სწრაფად მოვახდინოთ ახალი ტექნოლოგიების ადაპტირება“.

<https://www.geocase.ge/ka/news/218/jeoqesis-organizebit-onlain-ganatilebaze-diskusia-gaimarta>

შეხვედრის ჩანაწერი: <https://bit.ly/3idVrjq>



საქართველო და მისი სამეგობლო

თარიღი: 12.08.2020 ადგილი:

ონლაინ ფორმატი

საერთაშორისო ონლაინ კონფერენციის თემა გახლდათ: „საქართველო და მისი სამეგობლო“.

„დღეს საერთაშორისო სისტემა არაერთი გამოწვევისა და რთული ამოცანის წინაშე დგას. მთელი რიგი მნიშვნელოვანი კითხვები ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. ასევე, საქართველოს ზოგიერთი მეგობლის ისტორიულად არაპროგნოზირებადი ქცევა ზრდის ქვეყნის მოწყვლადობას. საქართველო იმყოფება ორ ნორმატიულად დაპირისპირებულ სამყაროს შორის: ერთი ეფუძნება თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპებს, ხოლო მეორე ორიენტირებულია რევანშისტულ მიდგომებზე“, - განაცხადა ვიქტორ ყიფიანმა.

„ამასთანავე, საქართველოს სჭირდება თავისი შესაძლებლობების გაძლიერება ჰიბრიდულ საფრთხეებთან ეფექტიანად გასამკლავებლად“, - დასძინა მან.

ვიქტორ ყიფიანმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე და ისაუბრა შავ ზღვაზე ძალთა ბალანსთან დაკავშირებულ საკითხებზე. „საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ქვეყნისთვის წარმოადგენს როგორც გამოწვევას, ისე შესაძლებლობას, განსაკუთრებით მისი ეკონომიკური განვითარებისთვის. ამჟამად შავი ზღვა არის არენა შეჭირისთვის გავლენის, რესურსებსა და ინფორმაციაზე წვდომის მოსაპოვებლად. შესაბამისად, ჩვენ და ჩვენს პარტნიორებს უფრო მოეთხოვებათ სტრატეგიული სიმტკიცე, ვიდრე სტრატეგიული თმენა“.



ასევე, ვიქტორ ყიფიანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველო მიისწრაფვის იყოს დემოკრატიული და უსაფრთხო ადგილი როგორც ქვეყნის მოსახლეობისთვის, ისე პარტნიორებისთვის.

საერთაშორისო კონფერენციაზე განხილული საკითხები შეაჯამეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა და აშშ-ში საქართველოს ელჩმა დავით ბაქრაძემ.

ღონისძიების ჩანაწერი:

- <http://www.agbdc.com/events/2020/8/12/georgia-and-its-neighborhood>
- <https://bit.ly/2LCJkQT>
- <https://bit.ly/38JFSwF> - ვიქტორ ყიფიანის გამოსვლა კონფერენციაზე



საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება პანდემიის შემდგომ

თარიღი: 12.08.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი

2020 წლის 11 აგვისტოს, ანალიტიკური

ორგანიზაცია „ჯეოქეისისა“ და ოსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის თანაორგანიზებით ონლაინ დისკუსია თემაზე: „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება პანდემიის შემდგომ“ გაიმართა.

„ჯეოქეისი“-ს გამგეობის წევრმა, ბაქარ ფალავანდიშვილმა ონლაინ განხილვას მოდერატორობა გაუწია.

„პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს აქვს არჩევანი - განაგრძოს ეკონომიკური განვითარების არსებული კურსი, რაც მოიცავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ქვეყნის შედარებით უპირატესობებზე (ტურიზმი, ენერგეტიკა, ა.შ.) აქცენტით ან ამ პოლიტიკასთან ერთად ეცადოს, განავითაროს ახალი შესაძლებლობები ქვეყნის შიგნით. ამ მიზნით, სახელმწიფოს პოლიტიკა შეიძლება იყოს უფრო მეტად ამბიციური, კონცენტრირებული და გრძელ ვადაზე გათვლილი. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების არსებული დონე საშუალებას იძლევა, რომ სახელმწიფომ უფრო აქტიური რეაგირება მოახდინოს ე.წ. „საბაზრო ჩავარდნის“ შემთხვევებზე და უზრუნველყოს მეტი კოორდინაცია დაფინანსების ახალი წყაროების, კვლევა-განვითარებისა და სამუშაო ძალის უნარების ამაღლების კუთხით“, - განაცხადა ბაქარ ფალავანდიშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორმა, ვახტანგ ჭარაიამ აღნიშნა: „დღევანდელ დღეს ხელისუფლებას აქვს უფლებაც და ვალდებულებაც უფრო აქტიურად ჩაერიოს ეკონომიკურ პროცესებში, ვიდრე ოდესმე“.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის პრეზიდენტის, შოთა გულბანის აზრით, რამდენად მზად დახვდება საქართველოს ეკონომიკა პოსტ-პანდემიურ პერიოდს, მეტწილად დამოკიდებული იქნება საფინანსო სისტემის მდგრადობაზე, აგრეთვე სახელმწიფოს აქტიურ ინტერვენციებზე შეინარჩუნოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა.

კომერციული სამართლის სპეციალისტმა, ლევან კოკაიამ აღნიშნა: „ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტის მეტი გააქტიურების აუცილებლობა არსებობს“.

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისი“ გეგმავს ეკონომიკური უსაფრთხოების თემატიკასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის გაგრძელებას და პარტნიორებთან თანამშრომლობით, ამ მიმართულებით რეკომენდაციების პაკეტის წარდგენას.

<https://www.geocase.ge/ka/events/55/jeoqesis-organizebit-post-pandemiur-ekonomikaze-diskusiagaimarta> შეხვედრის ჩანაწერი: <https://bit.ly/2LABqaR>

ამერიკისა და კასპიის რეგიონის
თემატიკაზე გამართული ონლაინ
ფორუმი

თარიღი: 30.07.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი

კასპიის პოლიტიკის ცენტრის
ორგანიზებით ამერიკისა და კასპიის



რეგიონის თემატიკაზე ონლაინ ფორუმი გაიმართა. ფორუმის მიზანი იყო ვაშინგტონსა და კასპიის რეგიონში მოქმედი კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევა და მათი ჩართულობით ამერიკის შეერთებული შტატებისა და კასპიის რეგიონის თემატიკაზე მსჯელობა, მათ შორის კასპიის რეგიონში ამერიკის გეოპოლიტიკური დინამიკის განხილვა.

"ჯეოქეისი"-ს თავმჯდომარე, ვიქტორ ყიფიანი ამერიკისა და კასპიის რეგიონის თემატიკაზე გამართულ ონლაინ ფორუმზე მოხსენებით გამოვიდა. ვიქტორ ყიფიანმა აღნიშნა: „საქართველოს პროგრესი არის თანაბრად მნიშვნელოვანი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირისთვის. შემთხვევითი არ არის, რომ ორივე ვაშინგტონი და ბრიუსელი საქართველოს განიხილავენ, როგორც ღირებულ და მთავარ პარტნიორს რეგიონში. ეს მოცემულობა მკაფიოდ უსვამს ხაზს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ არჩევანზე და არაუადვილდება გასაკვირი, რომ საქართველო მიისწრაფვის ევროკავშირთან მეტი დაახლოებისკენ, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობის გაღრმავებისკენ.“ „საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის კონტექსტში შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ავითარებს ახალ

პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს მის ევროპულ სამშობლოსთან, ამასთანავე, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივებს მოაქვს მეტი ევროპა რეგიონში. რაც შეეხება ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებს, ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია არის კონსტიტუციური მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს მთელ რიგ მექანიზმებს ვაშინგტონსა და თბილისს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით“, - დასძინა მან.

ამასთანავე, "ჯეოქეისი"-ს თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა ყურადღება გაამახვილა კასპიის რეგიონში გეოპოლიტიკური ინტერესების დინამიკასა და პოსტ-პანდემიური საერთაშორისო სისტემის ტენდენციებზე.

<https://geocase.ge/ka/news/203/jeoqeisi-s-tavmjdomare-viqtor-yifiani-amerikisa-da-kaspiis-regionistematikaze-gamartul-onlain-forumze-mokhsenebit-gamovida>

შეხვედრის ჩანაწერი: <https://bit.ly/3oOfwPz>



საქართველო კორონავირუსის
დროს: გამონკვევები,
შესაძლებლობები და წინ
გადადგმული ნაბიჯები

თარიღი: 18.07.2020

ადგილი: თბილისი

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისი“-ს

ორგანიზებით პანდემიის პერიოდში საქართველოს გამოცდილების შესახებ დისკუსია გაიმართა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გახსნა.

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა: „კოვიდკრიზისი საქართველოსათვის, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ქვეყნებისათვის, რთული გამოცდილება იყო. თუმცა, მან გარკვეულწილად გამოგვცადა და ვიტყვით, რომ ჩვენ ეს ტესტი ჩავაბარეთ. მან გამოსცადა ჩვენი ნდობა და დემოკრატია. ჩვენ შევძელით სწორად გვემართა ნდობის სამკუთხედი - მცოდნე ეპიდემიოლოგები, ეფექტური ხელისუფლება და პასუხისმგებელიანი საზოგადოება“.

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით: „ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელია ევროკავშირის მიერ საქართველოს შეყვანა 15 უსაფრთხო ქვეყნის სიაში. ეს იმის ნიშანია, რომ საქართველო და ევროპა ერთმანეთისათვის მხოლოდ სამოგზაურო ადგილი არაა, ეს ჟესტი სოლიდარობის ნიშანიცაა, რომელიც ვაქცინის გამოგონებასთან ერთად, მომავალშიც უნდა შენარჩუნდეს და თითოეულ ქვეყანას თანაბრად უნდა ჰქონდეს მასზე წვდომა“.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ დიპლომატებს პანდემიასთან დაკავშირებული მოკლე ანგარიში წარუდგინა.

ეკატერინე ტიკარაძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების დახმარების საკითხს და აღნიშნა, რომ ამ პერიოდში უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის ადამიანი შემოვიდა ჯანდაცვის სერვისების მისაღებად. მათგან კორონავირუსი 3 პირს დაუდასტურდა.

„გარდა იმისა, რომ მათ ვიღებთ რუხის საავადმყოფოში, ადგილზეც ვეხმარებით ტესტებით, პირადი დაცვის საშუალებებით, კონსულტაციებით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაც აქტიურადაა ჩართული“, - აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა. მან ხაზი გაუსვა, რომ პანდემიის პერიოდში საზოგადოებამ ნათლად დაინახა, რამდენად მნიშვნელოვანია ჯანდაცვა და რა პრობლემები არსებობს სისტემაში.

„ჯეოქეისი“-ს თავმჯდომარემ ვიქტორ ყიფიანმა აღნიშნა: "ჩვენი დღევანდელი შეხვედრა დიპლომატიურ კორპუსთან შეეხება იმ საერთაშორისო კონტაქტებს, რაც ქვეყანას ჰქონდა პანდემიის პირველი ტალღის პროცესში. აუცილებელია, ჩვენ მსოფლიოს გავაცნოთ ის დადებითი გამოცდილება, რაც ამ ხნის განმავლობაში დავაგროვეთ. ჩვენ შეგვიძლია ამით სამართლიანად მოვიწონოთ თავი. ასევე, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო კომუნიკაცია ხელს უწყობს გამონვევებთან ეფექტიან გამკლავებას“.

„ჯეოქეისი“-ს მკვლევარმა ხათუნა ბურკაძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პანდემიის პერიოდში პარტნიორების მხარდაჭერაზე. „გლობალური გამონვევის დაძლევა შესაძლებელია ერთობლივი ძალისხმევით. იმედი მაქვს, პოსტ-პანდემიური საერთაშორისო სისტემა ხელს შეუწყობს ახალი მიდგომების დანერგვას საერთო გამონვევებთან ბრძოლის

თვალსაზრისით და საქართველო შეძლებს ახალი სტრატეგიული როლის, რეგიონში ციფრული ჰაბის ფუნქციის განვითარებას“, - დასძინა მან.

<https://www.geocase.ge/ka/events/45/jeoqesis-organizebit-pandemiis-periodshi-saqartvelosgamocdilebis-shesakheb-diskusia-gaimarta>

საქართველოს საარჩევნო
რეფორმის საგარეო და
საშინაო განზომილებანი

თარიღი: 15.07.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი



ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისი“-ს ორგანიზებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, კახაბერ კუჭავას მონაწილეობით, ონლაინ დისკუსია გაიმართა. ონლაინ შეხვედრის თემა გახლდათ „საქართველოს საარჩევნო რეფორმის საგარეო და საშინაო განზომილებანი“.

"ჯეოქეისი"-ს თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა აღნიშნა: „მოქმედ კონსტიტუციაში საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული ცვლილებები რიგითი ხასიათის შესწორებებს არ წარმოადგენს. ეს არის თვისობრივად განსხვავებულ მოდელზე გადასვლა, რაც ასევე უკავშირდება ქვეყანაში მყარი პოლიტიკური და პარტიული სტანდარტების ფორმირებას, ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსის განსაზღვრაში თანამონაწილეობისათვის ფართო შესაძლებლობების უზრუნველყოფას. სწორედ ასეთი მაღალი მიზნიდან გამომდინარე, ძალზე სასურველი იყო საკონსტიტუციო ცვლილებებზე საპარლამენტო განხილვებში ყველა ძირითადი პოლიტიკური ძალის ჩართულობა. საარჩევნო დღის წესრიგთან ერთად, ეს ასევე კარგი გზავნილი იქნებოდა ქართულ პოლიტიკურ კულტურაში ახლებური ქცევის კოდექსის დამკვიდრების მზაობისათვის. ამიტომაც, სრულიად გასაგებია ის სინანული, რაც ჩვენი ქვეყნის პარტნიორი ქვეყნების დიპლომატებმა გამოთქვეს ამ პროცესისგან ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების გვერდზე გადგომის გამო. ისევე როგორც გასაგებია და თანაბრად აღსანიშნია მათი მხრიდან ის პოზიტიური შეფასება, რაც ამ ცვლილებების მიღების შედეგად დაფიქსირდა“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, კახაბერ კუჭავას განცხადებით, საერთაშორისო თანამეგობრობა, ასევე პოლიტიკური დიალოგის ფასილიტატორები

მიესალმებიან რეფორმების პაკეტის წარმატებით მიღებას და ამ პროცესს განიხილავენ, როგორც ისტორიულ მომენტს საქართველოს თანამედროვე საპარლამენტო ცხოვრებისთვის.

„ჯეოქეისი“-ს მკვლევარმა, პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ აღნიშნა, რომ „საარჩევნო ცვლილებები უნდა იყოს წინაპირობა საქართველოს მიერ მიღწეული შედეგების შენარჩუნებისა და რეფორმების გაგრძელებისა, რაც აუცილებელია ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებებისთვის.“

„ჯეოქეისი“-ს მკვლევარის, ბაჩო თორთლაძის განცხადებით, საარჩევნო კამპანიისა და კენჭისყრის დღის საქართველოს კანონმდებლობის, ევროპის საბჭოსა და ეუთო ოდირის სტანდარტების შესაბამისად წარმართვისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემოს დეპოლარიზაცია და საზოგადოების კონსოლიდირება ძირითადი საარჩევნო პრინციპების გარშემო. ამ მიმართულებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ პოლიტიკურ პარტიებსა და მედიას. აქცენტი პერსონალური პოლიტიკური თავდასხმებიდან უნდა გადავიდეს თემატურ დებატებზე. მნიშვნელოვანია, რომ ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებთან აფილირებული მედია ორგანიზაციები შეთანხმდნენ იმ მინიმალურ სტანდარტზე, რომელიც უზრუნველყოფს საარჩევნო საკითხების მეტ-ნაკლებად დაბალანსებულ გაშუქებას.

სექტორი3-ის თავმჯდომარემ, ქეთევან ჩაჩავამ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და არჩევნების თანმდევი გამოწვევების შესახებ ისაუბრა.

<https://www.geocase.ge/ka/events/46/geocase-online-discussion-on-external-internal-dimensions-of-theelectoral-reform>

შეხვედრის ჩანაწერი: <https://bit.ly/2LUEZbO>



შავი ზღვის უსაფრთხოება: დრო კრეატიული ფიქრისთვის და საქართველოს პერსპექტივა

თარიღი: 30.06.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისი“-

ს ორგანიზებით, „ჰერიოტიკის ფონდის“ საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორის ლუკ

კოფის მონაწილეობით, ონლაინ დისკუსია გაიმართა. ონლაინ შეხვედრის თემა გახლდათ „შავი ზღვის უსაფრთხოება: დრო კრეატიული ფიქრისთვის და საქართველოს პერსპექტივა“.

"ჯეოქეისი"-ს თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა აღნიშნა: „აუცილებელია ალიანსის აღმოსავლეთის ფლანგზე უსაფრთხოების სისტემაში არსებული დისბალანსის აღმოფხვრა და ბალტიის ზღვისა და შავი ზღვის რეგიონებს შორის პარიტეტის აღდგენა. ამ მიზნით, განვითარებული პროცესები მოითხოვენ სწრაფი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას შავ ზღვაზე ჩვენი დასავლელი პარტნიორების წარმომადგენლობის გასაძლიერებლად და „ერთი ფლანგის, ერთი საფრთხის, ერთი ინტერესის“ პრინციპთან მისაახლოებლად. ამასთანავე, გასათვალისწინებელია შავი ზღვის რეგიონის სპეციფიკა, რომელიც გამორჩეულია განსხვავებული გეოპოლიტიკური ინტერესების დაპირისპირების სიმძაფრით. მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ რუსეთისათვის რეგიონი კრიტიკულ დატვირთვას ატარებს მისი სამხრეთით საზღვრებთან ე.წ. „სტრატეგიული სიღრმის“ უზრუნველსაყოფად, ისევე როგორც შავი ზღვის გავლით ხმელთაშუაზღვაზე და ჩრდილოეთ აფრიკაზე გასასვლელად. აღსანიშნია ისიც, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება ფუნქციონალურად მხოლოდ მოცემული რეგიონით არ შემოიფარგლება და ის ასევე ერთგვარი „ჩამკეტია“ აღმოსავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების სისტემებისა. არცთუ შორეულ მომავალში კი, შავი ზღვის რეგიონს შესაძლოა ახალი, თვისობრივად გამორჩეული, „ერთი სარტყლისა და ერთი გზის“ განზომილება დაემატოს, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს და კომპლექსურს გახდის რეგიონალური ძალთა ბალანსის ამოცანის გადაჭრას“.

ლუკ კოფის განცხადებით, შავი ზღვის რეგიონში უნდა გაიზარდოს ნატო-ს ფლოტი, რაც რეგიონში ალიანსის პოზიციებს გააძლიერებს. ის გამოვიდა ალიანსის მიერ საქართველოში შავი ზღვის უსაფრთხოების ცენტრის დაფუძნების ინიციატივით, რომელიც შესაძლოა იყოს ნატო-ს ტალინის კიბერთავდაცვითი ცენტრის ანალოგი. ონლაინ დისკუსიის მსვლელობის დროს საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა კომენტარი გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ერთი წლის წინ ცენტრის შექმნის იდეა ბათუმში ნატო-ს ოფიციალურ წარმომადგენლებს შესთავაზა. საქართველოს პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ეს ინიციატივა განხორციელდება.

ლუკ კოფიმ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბუქარესტის სამიტის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. საქართველოს შეუძლია ცალკე გააგრძელოს ევროინტეგრაციის პროცესი. „თუმცა ჩვენ როგორც საქართველოს, ისე უკრაინას უნდა დავეხმაროთ ევროინტეგრაციის გზაზე“, - დასძინა მან.

„ჯეოქეისი“-ს მკვლევარმა, პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი დასაჩქარებელია და ბუქარესტის 12-წლიანი დაპირება შესასრულებელია. ელჩმა ნიკოლოზ რთველიაშვილმა ყურადღება გაამახვილა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ისტორიულ და თანამედროვე ასპექტებზე.

<https://www.geocase.ge/ka/events/41/jeoqeisi-s-organizebit-luk-kofis-monatsileobit-shavi-zghvisregionis-usaftrtkhoebis-shesakheb-onlain-diskusia-gaimarta>

შეხვედრის ჩანაწერი: <https://bit.ly/38L2JI8>

ონლაინ განხილვა პოსტ-პანდემიური
ევროპისა და საქართველოს ევროპული
პერსპექტივის შესახებ

თარიღი: 25.06.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი



ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისი“-ს ორგანიზებით ვიდეო შეხვედრა გაიმართა.


ონლაინ დისკუსიის მთავარი თემა იყო: “პოსტ-პანდემიური ევროპა და საქართველოს ევროპული პერსპექტივა”. „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი, პროფესორი ხათუნა ბურკაძე ონლაინ დისკუსიას მოდერატორობას უწევდა. ონლაინ ღონისძიება 2014 წლის 27 ივნისიდან დღემდე საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერიდან 6 წლის გასვლის პერიოდს მიეძღვნა. „ჯეოქეისი“-ს მკვლევარმა ლიკა ჭიპაშვილმა ყურადღება გაამახვილა ევროკავშირის თანამედროვე გამოწვევებსა და პრიორიტეტებზე კოვიდ 19-ის ფონზე. ევროპის უნივერსიტეტის პროფესორმა, გიორგი მჭედლიშვილმა გაანალიზა ბრექსიტის გავლენა ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობაზე. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის გამგეობის თავმჯდომარემ, მიხეილ მირზიაშვილმა ისაუბრა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების შესრულების დინამიკასა და შედეგებზე.

„ჯეოქეისი“-ს მკვლევარმა, პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ აღნიშნა, რომ პანდემიის შედეგად შექმნილმა გლობალურმა გამოწვევამ აჩვენა, რომ აუცილებელია დიდმა სახელმწიფოებმა მცირე სახელმწიფოებს მეტი შესაძლებლობები მისცენ, რათა მსოფლიო, რეგიონი უფრო

ქმედითი და ეფექტური გახდეს საერთო გამოწვევების დაძლევის პროცესში მომავალში. „ამ ეტაპზე „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ მისი ეკლექტური ბუნებიდან გამომდინარე, მკაფიოდ არ ასახავს საქართველოს ევროპულ პერსპექტივას, რასაც ასოცირების შეთანხმების ფრაგმენტაციაც ადასტურებს. ხსენებული დოკუმენტი საქართველოს მოიხსენიებს მხოლოდ, როგორც აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყანას. ასევე, საგულისხმოა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ონლაინ დიალოგის გამართვის შემდეგ ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია. ხსენებული დოკუმენტით ევროპარლამენტარები ევროკავშირის საბჭოს მოუწოდებენ საქართველოს თანამშრომლობის გაფართოებული სტრატეგია შესთავაზოს“, - დასძინა მან.

<https://www.geocase.ge/ka/events/39/online-gankhilva-post-pandemiuri-evropisa-da-saqartvelosevropuli-perspektivis-shesakhebi>

შეხვედრის ჩანაწერი: <https://bit.ly/35I1Uhi>



კოვიდ19 და საქართველოს ციფრული საფრთხეები

თარიღი: 05.06.2020

ადგილი: ონლაინ ფორმატი

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისი“-ს
ორგანიზებით ვიდეო შეხვედრა

გამართა, რომელიც ეხებოდა კოვიდ 19-სა და საქართველოს ციფრულ

საფრთხეებს. ონლაინ დისკუსიას მოდერატორობას უწევდა „ჯეოქეისი“-ს თავმჯდომარე, ვიქტორ ყიფიანი. საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი იაშვილმა ყურადღება გაამახვილა კიბერჰიგიენაზე, დისტანციური მუშაობის თანმდევ ახალ საფრთხეებსა და რისკებზე, ასევე, მონეობილობების უსაფრთხოებასა და მათი რეგულარულად შემოწმების საკითხებზე. „ჯეოქეისი“-ს მკვლევარმა, პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ ისაუბრა კიბერშეტევებზე, როგორც პირიქულ გამოწვევებზე და მათი დაძლევის საშუალებებზე, კიბერუსაფრთხოების გაძლიერების კონტექსტში საქართველოსა და სტრატეგიულ პარტნიორებს შორის, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანამშრომლობის საკითხებზე. ასევე, ხათუნა ბურკაძემ ხაზი გაუსვა იმ

ფაქტს, რომ საქართველოს აქტიური ჩართულობა ინფორმაციული სისტემების დაცვის მექანიზმების განვითარების მიმართულებით უზრუნველყოფს დაცული საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნას და გაზრდის საქართველოს სტრატეგიულ როლს, მეტიც აქცევს მას ციფრულ ჰაბად რეგიონში. ხოლო „ჯეოქეისი“-ს მკვლევარმა, გიორგი ანთაძემ გაანალიზა გლობალური უსაფრთხოების გარემო და გამოწვევები, რომლებიც სახელმწიფოების წინაშე დგას კიბერუსაფრთხოებთან გამკლავების პროცესში. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლების მნიშვნელობასა და მასში კიბერუსაფრთხოების კომპონენტების ასახვაზე.

„ჯეოქეისი“-ს თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის ვიდეო შეხვედრები „ჯეოქეისი“-ს ორგანიზებით კვლავ გაგრძელდება. ასევე, მან გამოხატა ორგანიზაციის მზადყოფნა შეიტანოს თავისი წვლილი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

<https://www.geocase.ge/ka/events/34/video-shekhvedra-kovid-19-isa-da-saqartvelos-cifulisafitkheebis-shesakheb>

შეხვედრის ჩანაწერი: <https://bit.ly/3srvrWp>

პოლონეთის აღმოსავლური პოლიტიკა 2019

თარიღი: 27/29.11.2019

ადგილი: პოლონეთი

2019 წლის 27-29 ნოემბერს, "ჯეოქეისის" მრჩეველმა, ანჟეი კლიმჩუკმა მონაწილეობ მიიღო



კონფერენციაში "პოლონეთის აღმოსავლური პოლიტიკა 2019" (Polish Eastern Policy 2019).

კონფერენცია პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, პროფ. იაცეკ ჩაპუტოვიჩის, საპატიო პატრონაჟითა და ვროცლავის აღმოსავლეთ ევროპის კოლეჯის ორგანიზებით გაიმართა.

ლონისძიებაზე, სხვა თემებთან ერთად, პოლონეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მომავალი და ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საკითხები იქნა განხილული.

ანჟეი კლიმჩუკი სიტყვით წარსდგა ჟურნალის "New Eastern Europe" რედაქტორების მიერ მოწყობილ თემატურ განხილვაზე - "შავი ზღვა - გეოპოლიტიკური ტროას ცხენი?" და შეხვედრის სტუმრებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა საქართველოში ამჟამად არსებული სიტუაციის შესახებ. გამოსვლაში მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველო, ეკონომიკური, სოციალური და დემოკრატიული რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით, ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მონაწილე ქვეყნებს შორის მონაწილე ქვეყანაა.

<https://www.geocase.ge/ka/news/23/jeoqeisi-s-mrcheveli-anzhei-klimchuki-konferenciaze-polonetsaghmosavluri-politika-2019?fbclid=IwAR0n41z4BwRMFMWf0w2wDTiiIBNu7fFRnXNSCvyLfphqSat7vMgF7FG3A4>



საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია (GDSC)

თარიღი: 6/7.10.2019

ადგილი: ბათუმი

"ჯეოქეისი" თავმჯდომარე,

ვიქტორ ყიფიანმა და ამავე ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭოს წევრმა, ანჟეი კლიმჩუკმა, მონაწილეობა მიიღეს 2019 წლის 6-7 ნოემბერს ბათუმში გამართულ საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციაში (GDSC).

<https://www.geocase.ge/ka/events/4/jeoqeisi-s-tsarmomadgenleba-saqartvelos-tavdacvisa-da-usaftrtkhoebis-konferenciashi-gdsc-monatsileoba-miighes>

ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი

თარიღი: 30.10.2019

ადგილი: თბილისი

ანალიტიკური ორგანიზაციის
"ჯეოქეისი" თავმჯდომარემ, ვიქტორ
ყიფიანმა, მოდერატორობა გაუწია
2019 წლის 30 ოქტომბერს თბილისში



გამართული ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმის თემატურ განხილვას -
"შიბრიდული ომი შავი ზღვის რეგიონში და მასთან ბრძოლის ეფექტიანი მეთოდები".

ლონისძიების მიზანს წარმადგენდა სახალხო დიპლომატიის ექსპერტთა ქსელის გაფართოების
ხელშეწყობა და ნატო-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ინფორმაციისა და გამოცდილების
გაზიარება.

ფორუმში მონაწილეობდნენ: სამთავრობო სტრუქტურების, ჩრდილოატლანტიკური
ალიანსის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, კვლევითი
და ანალიტიკური ინსტიტუტების წარმომადგენლები, ნატო-ს წევრი და პარტნიორი
ქვეყნებიდან მოწვეული ექსპერტები.

ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის რიგით მეოთხე ფორუმი საქართველოს
საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ "საინფორმაციო ცენტრის ნატო-სა და ევროკავშირის
შესახებ" ორგანიზებითა და საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის, ნატო-ს სახალხო
დიპლომატიის განყოფილებისა და საქართველოში პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით
გაიმართა.

<https://www.geocase.ge/ka/events/3/nato-saqartvelos-sakhalkho-diplomatiis-forumi-30-oqtomberi-2019-ts>

ვიდეო: <https://bit.ly/38KGPVE>



შეხვედრა საქართველოსა და
სამხრეთ კავკასიაში ნატო-ს
სამეკავშირეო ოფისის ყოფილ
ხელმძღვანელთან, უილიამ
ლეჰიუსთან

თარიღი: 10.10.2020

ადგილი: თბილისი

2019 წლის 10 ოქტომბერს ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისი“-ის ორგანიზებით, არაფორმალური შეხვედრის ფორმატში, გაიმართა დისკუსია თემაზე: “ნატოში საქართველოს განწევრიანების პერსპექტივა და გამოწვევები: ფიქრი და განსჯა“. ღონისძიებაზე, სპეციალური სტუმრის სტატუსით მიწვეული იყო საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ყოფილი ხელმძღვანელი, უილიამ ლეჰიუ.

შეხვედრას, რომლის მიზანსაც ნატო-ში საქართველოს განწევრიანების შესახებ მსჯელობა წარმოადგენდა მოდერატორობას უწევდა "ჯეოქეისი"-ს თავმჯდომარე, ვიქტორ ყიფიანი.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო და საჯარო სექტორის წევრებმა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა და მკვლევარებმა, რომელთაც საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განწევრიანების სხვადასხვა გზებზე და, ატლანტიკური თანამეგობრობის ფარგლებში, ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების სხვა ოპტიმალური ვარიანტების შესახებ იმსჯელეს.

<https://www.geocase.ge/ka/events/1/shekhvedra-saqartvelosa-da-samkhret-kavkasiashi-nato-ssamekavshireo-ofisis-yofil-khelmdzghvaneltan-b-n-uiliam-lehiustan>

სატელევიზიო სიუჟეტი ღონისძიების შესახებ: <https://bit.ly/39zdgNb>

ინტერვიუები და სტატიები

ვიქტორ ყიფიანი - ჯეოქეისის თავმჯდომარე

COVID-19-ის მოკლე და გრძელვადიანი
შედეგები: მსჯელობა „გაქცეულ“
რეჟიმში

თარიღი: 18.03.2020

სტატიაში განხილულია COVID-19-ის
გლობალური პანდემია, როგორც
არამართო სამედიცინო ხასიათის



პრობლემების გამომწვევი მოვლენა, არამედ ქვეყნების შიდა და საგარეო ურთიერთობების
ახალი სისტემის ჩამოყალიბებისა და მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გადაწყობის მიზნით
ცივი ომის შემდგომი გლობალური გარდაქმნის ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროცესის ფონზე.
ავტორი, ამასთანავე, პანდემიის მიერ გამოწვეულ კრიზისის განიხილავს, როგორც საშუალებას
ხარვეზების აღიარებისა და მათ აღმოფხვრისათვის.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია: <https://www.geocase.ge/ka/publications/141/covid19-is-mokle-da-grdzelvadiani-shedegebi-msjeloba-gaqceul-rezhimshi>

უსაფრთხოებაზე გამავალი ერთობა:
მოსაზრებები, შესაძლებლობები,
შეთავაზებები

თარიღი: 28.11.2020

სტატია ეთმობა შავი ზღვის რეგიონალური
უსაფრთხოების ასპექტების განხილვას
როგორც საქართველოს, ასევე ქვეყნის



რეგიონალური პარტნიორებისა და სტრატეგიული მოკავშირის გადმოსახედიდან. ნაშრომში
ხაზგასმულია რეგიონის მნიშვნელობა და შავი ზღვის ფორმატში საჭირო მიმართულებით
რეგიონალური თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის აუცილებლობა. ასევე, შავი ზღვის ქვეყნების
ერთობისათვის შემოთავაზებულია თანამედროვე მულტილატერალური რეგიონალურ-
თემატური მოდელი „შავი ზღვის დეკლარაციის“ სახით, რომელიც მოიაზრებს როგორც შავი ზღვის

რეგიონის სახელმწიფოთა ინტერესებს, ისე შეერთებული შტატების ურყევ და შეუქცევად დაინტერესებას რეგიონით.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია: <https://www.geocase.ge/ka/publications/315/usafrtkhoebaze-gamavali-ertoba-mosazrebebi-shesadzleblobebi-shetavazebebi>

ბაქარ ფალავანდიშვილი - „ჯეოქეისის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

გეოპოლიტიკური რეალობა და
ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა

თარიღი: 26.02.2020

სტატია შეეხება ევროკავშირის ინდუსტრიულ პოლიტიკას, კონკურენციის პოლიტიკასა და გლობალურ ბაზრებზე განვითარებულ მოვლენებს შორის რთულ



ურთიერთკავშირს. ამ მიმართულებებს შორის დაპირისპირებამ გამოხატულება ჰპოვა ევროკავშირის კომისიის მიერ ევროპის ორი უმსხვილესი სარკინიგზო კომპანიის შერწყმის დაბლოკვასა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ამ ფაქტზე რეაგირებაში. შედეგად, ევროპულ სახელმწიფოებს სურთ ევროკავშირის კონკურენციის სამართლის რეფორმა, რათა გათვალისწინებულ იქნას ევროკავშირის ფართო სტრატეგიული მიზნები და გეოპოლიტიკური გამოწვევები. ევროკავშირის კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის რეფორმას ექნება მნიშვნელოვანი გავლენა სხვა ქვეყნებზე, როგორცაა საქართველო.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია: <https://geocase.ge/ka/publications/58/geopolitikuri-realoba-da-evrokavshiris-konkurenciis-politika>

საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკა - ნაწილი I

თარიღი: 10.10.2020

სტატია შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე და იკვლევს გზებს, თუ როგორ შეიძლება დაჩქარდეს პირდაპირი უცხოური



ინვესტიციების დადებითი ეფექტის გავრცელება ეკონომიკაზე, როგორცაა ადგილობრივი კომპანიების განვითარების შესაძლებლობა ინვესტორის წარმოების მეთოდებზე, მარკეტინგულ სტრატეგიასა და ბიზნეს პრაქტიკებზე დაკვირვებისა და იმიტაციის გზით, კავშირებს ადგილობრივ მიმწოდებლებსა და ინვესტორს შორის და ინვესტორის მიერ ადგილობრივი კადრების უნარების ამაღლებასა და პროდუქტიული ცოდნის შეძენას. სტატია მიმოიხილავს მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების მნიშვნელობას, სხვა ქვეყნების გამოცდილებას მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, პრიორიტეტული სექტორისა და განათლების პოლიტიკის როლს. შესაძლებლობებთან ერთად გაანალიზებულია გამოწვევები, რომელიც თან ახლავს შემოთავაზებულ სტრატეგიას და მათი დაძლევის გზები.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/267/saqartvelossainvesticio-politika-natsili-i>

ხათუნა ბურკაძე - „ჯეოქეისის“ მკვლევარი, პროფესორი, სამართლის დოქტორი, ფლექტჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლის კურსდამთავრებული



ხათუნა ბურკაძე - აშშ-ს მტკიცე მხარდაჭერით საქართველოს ნატო-ში წევრობა დასაჩქარებელია

თარიღი: 19.11.2020

„ჯეოქეისის“ მკვლევარის, პროფესორ ხათუნა ბურკაძის ინტერვიუ „ინტერპრესნიუსთან“

ეხება საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხებს.

ხათუნა ბურკაძე აღნიშნა: „ამერიკის შეერთებული შტატების არჩეულ პრეზიდენტს ჯოზეფ ბაიდენს მდიდარი პოლიტიკური გამოცდილება აქვს, რომელიც თითქმის ნახევრასაუკუნეს ითვლის. ის საქართველოს კარგად იცნობს. ჯოზეფ ბაიდენი ჩვენს ქვეყანაში ორჯერ არის ნამყოფი, 2008 და 2009 წლებში. მეტიც, ბაიდენი გახდა საქართველოსთვის ერთმილიარდიანი დახმარების გამოყოფის ინიციატორი. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის თანამშრომლობის მეტად გაღრმავებას. ჯოზეფ ბაიდენი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ნატო ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი. ეს გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად უნდა გაღრმავდეს“.

გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია: <https://geocase.ge/ka/publications/308/khatuna-burkadze-ashsh-s-mtkice-mkhardatcherit-saqartvelos-nato-shi-tsevropa-dasachqarebelia>



ხათუნა ბურკაძე - დემოკრატიული და განვითარებული საქართველოს გზა ნატოსა და ევროკავშირზე გადის, რასაც ალტერნატივა არ აქვს

თარიღი: 06.10.2020

„ჯეოქეისის“ მკვლევარის, პროფესორ ხათუნა ბურკაძის ინტერვიუ „ინტერპრესნიუსთან“

ეხება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პერსპექტივისა და კიბერუსაფრთხოების საკითხებს.

ხათუნა ბურკაძის განცხადებით: „დღევანდელი მოცემულობის სიღრმისეული ანალიზი მიანიშნებს, რომ არსებითი პაკეტის განახლება ან სხვა მსგავსი ინიციატივების განხორციელება საკმარისი არ არის. საქართველო ნატოში წევრობას იმსახურებს. ევროატლანტიკური ინტეგრაციის მომავლისთვის უნდა გადაიდგას მკაფიო პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც 12 წლის წინ ბუქარესტის სამიტზე მიღებულ პოლიტიკურ დაპირებას რეალობად აქცევდნ“.

„რაც შეეხება საქართველოს ევროპულ პერსპექტივას, ევროინტეგრაციის გზაზე 2021 წლის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი უნდა გახდეს გარდამტეხი ეტაპი საქართველოს მეტი

პოლიტიკური ამბიციის გამოსაკვეთად და პრინციპის „მეტი მეტისთვის“ გასავითარებლად, რაც გულისხმობს ინტეგრაციის მეტი შესაძლებლობების მიცემას იმ ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, რომლებიც მეტს აკეთებენ ევროკავშირთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად“, - აღნიშნა ხათუნა ბურკაძემ.

„საქართველომ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად, რაც ჩვენგან მოითხოვს მეტ ინოვაციურ რეფორმას ყველა საკვანძო მიმართულებით, თუმცა ეს უნდა შევძლოთ“, - დასძინა ხათუნა ბურკაძემ.

გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია: <https://geocase.ge/ka/publications/270/khatuna-burkadze-demokratiuli-da-ganvitarebuli-saqartvelos-gza-natosa-da-evrokavshirze-gadis-rasacalternativa-ar-aqvs>



ხათუნა ბურკაძე - ყველასთვის განათლების ხელმისაწვდომობისა და სწავლების ეფექტიანობისათვის დისტანციური განათლება ცვლილებებს საჭიროებს

თარიღი: 11.09.2020

„ჯეოქეისის“ მკვლევარის, პროფესორ ხათუნა ბურკაძის ინტერვიუ

„ინტერპრესნიუსთან“ ეხება პანდემიის ფონზე დისტანციური სწავლების შესაძლებლობებსა და თანმდევ გამოწვევებს.

ხათუნა ბურკაძემ აღნიშნა: „ერთი მხრივ, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით საგანმანათლებლო სივრცის სწრაფმა გარდაქმნამ აჩვენა დისტანციური სწავლების პრაქტიკული მნიშვნელობა. თუმცა, მეორე მხრივ, დისტანციური სწავლების დანერგვას თან ახლავს გამოწვევები, მათ შორის სპეციფიური ციფრული უნარ-ჩვევების სიმწირე და პრობლემები, რომლებიც უკავშირდება კომპიუტერთან და ონლაინ რესურსებთან წვდომას“.

დისტანციური განათლების თანმდევი გამოწვევების ფონზე, ხათუნა ბურკაძე შესაბამისი ინიციატივების განხორციელებაზე საუბრობს.

გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია: <https://geocase.ge/ka/publications/272/khatuna-burkadze-demokratiuli-da-ganvitarebuli-saqartvelos-gza-natosa-da-evrokavshirze-gadis-rasacalternativa-ar-aqvs>

[burkadze-yvelastvis-ganatlebis-khelmisatsvdomobisa-da-stsavlebis-efeqtianobisatvis-distanciuriganatleba-cvlilebebs-satchiroebs](#)

ზვიად კირტავა - „ჯეოქეისის“ მკვლევარი, პროფესორი, მედიცინის აკად. დოქტორი



მეორე ტალღის წინ

თარიღი: 12.09.2020

ზაფხულის განმავლობაში მოელ რიგ ქვეყნებში ტურიზმის და მობილობის ზრდის, კოვიდ-გადაღლის და პანდემიის წინააღმდეგ გარკვეული წარმატების - „პანდემიის დამარცხებად“ აღქმის მცდარი ილუზიის გამო

იმათა მანამდე არსებული რეკომენდაციების მკვეთრი უგულებელყოფის შემთხვევებმა. ამან ყველაფერმა გამოიწვია, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მანამდე პანდემიის კონტროლი კარგად ხორციელდებოდა, შემთხვევების სერიოზული ზრდა. საქართველოშიც დაფიქსირდა კლასტერების გახშირება და ბოლო კვირაში ინფიცირების ტემპის მატება, ასევე მოსახლეობის მხრიდან დაბალი მიმდებლობა რეკომენდაციების დაცვის კუთხით, რაც დროულად საჭიროებს კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ობიექტური გაზომვადი ინდიკატორების და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებას ეპიდვითარების მონიტორინგის მიზნით, ასევე - რიგ სხვა ცვლილებებს ლოკალური შეზღუდვების ხელახალი დანესების შესაძლო მზადყოფნისათვის.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://www.geocase.ge/ka/publications/239/meoretalghis-tsin>



ახალი კვლევები სეზონურ გაციებასა და Covid-19-ს შორის ჯვარედინი იმუნიტეტის შესაძლებლობაზე მიუთითებენ

თარიღი: 17.05.2020

რამდენიმე კვლევის თანახმად, შესაძლოა არსებობდეს როგორც უჯრედული

(ლიმფოციტებით განპირობებული, ასევე ჰუმორული (ანტისხეულებით განპირობებული) ჯვარედინი იმუნიტეტი პანდემიის გამომწვევ ახალ კორონავირუსსა (SARS-CoV-2) და ადამიანის კორონავირუსის სხვა, ნაკლებად საშიშ იმ შტამებს შორის (HCoV) რომლებიც

წლების განმავლობაში იწვევენ ე.წ. „ზოგად გაციებას“ ამით შეიძლება აიხსნას COVID–ის განსხვავებული ავადობა და სიკვდილობა, ბავშვების უკეთესი დაცვა, და ინფიცირებულთან ძალიან მჭიდრო და ხანგრძლივი კონტაქტის მიუხედავად ოჯახის ზოგიერთ წევრის არდაინფიცირების აუხსნელი შემთხვევები. ამ პირველადი მონაცემების მყარი დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნულმა ჯვარედინმა იმუნიტეტმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მოსახლეობაში პოპულაციური იმუნიტეტის შედარებით უფრო სწრაფ განვითარებაზე და სამომავლო პოლივალენტური კორონავირუსის ვაქცინის კვლევების შესაძლებლობაზე.

წყარო:

- <https://www.cell.com/action/showPdf?pii=S0092-8674%2820%2930610-3>
- <https://www.biorxiv.org/content/10.1101/2020.05.14.095414v1?fbclid=IwAR3IC72lOPIppxxjZqOjV01hfdSXDyrGbIZz5pNZpB3rcBeokDOtkgMu2Y8>
- <https://www.cdc.gov/coronavirus/general-information.html>

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია: <https://www.geocase.ge/ka/publications/150/akhali-kvleebi-sezonur-gaciebasa-da-covid-19-s-shoris-jvaredini-imunitetis-shesadzleblobaze-miutiteben>

ლიკა ჭიპაშვილი - „ჯეოქეისის“ მკვლევარი



„ბრექსითი“ - საჩუქარი საშობაოდ ევროპას

თარიღი: 05.01.2021

პუბლიკაციაში

მიმოხილულია

ბრიტანულევროპული

47-წლიანი

კომპლექსური ურთიერთობა ისტორიულ
ჭრილში, გაერთიანებული სამეფოს
ევროკავშირიდან გასვლის შემდგომი

თანამშრომლობის ასპექტები, „ბრექსითის“ შედეგების შესაძლო გავლენა ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ირლანდიისა და შოტლანდიის კონტექსტში. ასევე, სტატიაში „ბრექსითის“ ფაქტორი განხილულია გეოპოლიტიკური და ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის მიმართულებით და აღნიშნულია, რომ გაერთიანებული სამეფოს მხრიდან უპირატესად გლობალური ბრიტანეთის იდეისკენ მუდმივი სწრაფვა, ვიდრე ევროპული იდეისკენ, ევროპაში, პირველ რიგში, ბრიტანელთა იდენტობის დამახასიათებელ მოცემულობად უნდა აღიქვას და „ბრექსითი“ კონტინენტის განვითარების მხოლოდ ახალ შესაძლებლობად აქციოს, ისევე როგორც იგი ახალ შესაძლებლობად უნდა განიხილოს საქართველომ ქართულ-ბრიტანული ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცებისა თუ საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია: <https://www.geocase.ge/ka/publications/336/brexit-sachugari-sashobaod-evropas>



ჟო ბაიდენი და ევროკავშირი: ახლა ტალღები ატლანტის ორივე მხარეს ლურჯია

თარიღი: 25.11.2020

სტატიაში

მიმოხილულია

ამერიკულევროპული

ურთიერთობების

ნორმალიზების პერსპექტივები არჩეული
პრეზიდენტის, ჟო ბაიდენისა და ევროკავშირის

საგარეო პოლიტიკის

ამჟამინდელი პრიორიტეტების გათვალისწინებით. მათ შორის, პუბლიკაციაში ხაზგასმულია აშშ-ევროკავშირის თანამშრომლობის მნიშვნელობა, სამომავლოდ, საერთო დასავლური ღირებულებების განმტკიცების საქმეში, ისეთი გლობალური გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორცაა კოვიდ-19 პანდემია და კლიმატის ცვლილებები, ასევე, საუბარია ნატო-ს ფარგლებში პარტნიორობის განვითარებასთან, რუსეთის ფედერაციასთან თუ ჩინეთთან ურთიერთობების წარმართვის საკითხებზე. სტატიაში აღნიშნულია, რომ 2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები, ჯო ბაიდენის გამარჯვების სახით, კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ აყენებს საერთაშორისო ლიბერალურ წესრიგს და იგი მეტწილად წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემის ნორმალიზაციის ხელშეწყობ ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ, ისევე როგორც ევროპულ-ამერიკული ურთიერთობების ნორმალიზება ახალ შესაძლებლობას ქმნის საქართველოსთვის ევროკავშირთან და ნატოსთან მეტი ინტეგრაციის პროცესში.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://www.geocase.ge/ka/publications/312/jobaideni-da-evrokavshiri-akhla-talghebi-atlantis-orive-mkhares-lurjia>



ქართული ქეისი ევროკავშირში

თარიღი: 14.05.2020

„შუმანის დეკლარაციის“ 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნულია, რომ განვლილი შვიდი ათწლეულის მანძილზე მიღწეულმა

პროგრესმა ევროპული პროექტი მსოფლიოში ერთა თანამეგობრობის

ფოტო: <https://www.operationirini.eu/> საუკეთესო, ქმედით მოდელად აქცია, მისი სიკეთეები კი, რომელიც ხელშესახები გახდა არა მხოლოდ მის წევრი ქვეყნების, არამედ ასევე მისი პარტნიორი სახელმწიფოების, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებისთვის, გახლავთ ფასადუდებელი. პუბლიკაციაში მიმოხილულია ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული დემოკრატიული პროგრესი, რომლითაც იგი გამოირჩევა როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“, ისე „დასავლეთ ბალკანეთის“ რეგიონის წევრ ქვეყნებს შორის და ხაზგასმულია, რომ ამჟამინდელი გეოპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, საქართველოსა და ევროკავშირის ინტერესების თანხვედრა დღეს

იმდენად ქმნის ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის მეტად განვითარების პერსპექტივას, როგორც არასდროს.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://www.geocase.ge/ka/publications/146/qartuliqueisi-evrokavshirshi>

გიორგი ანთაძე - „ჯეოქეისის“ მკვლევარი, პარლამენტის კვლევითი ცენტრის მთავარი მკვლევარი

ყარაბაღის გაკვეთილები

თარიღი: 08.10.2020

სტატია მიმოიხილავს ყარაბაღის ბოლო ომის მნიშვნელობას სამხედრო-პოლიტიკურ ჭრილში და იმ საკითხებს, რომლებიც აღნიშნული ომის შედეგად გასათვალისწინებელია საქართველოსათვის.



სტატიაში მიმოიხილულია კავკასიის გეოპოლიტიკური სიტუაცია, მისი ისტორიული თავისებურებები და დაპირისპირებული მხარეების მიზნები. ხაზგასმულია ის სამხედრო-ოპერატიული თავისებურებები, რომლებიც ყარაბაღის ბოლო ომის მიმდინარეობას ახასიათებდა. სტატიაში მოცემულია მთავარი დაკვირვებები რომლებიც, პირობითად ორ - სამხედრო და პოლიტიკურ ბლოკშია გაერთიანებული. ამასთანავე მოცემულია კონფლიქტის დასრულების პროგნოზები, მათ შორის ის მოცემულობა, რომელიც ომის დასრულების შემდგომ დადგა და ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების განთავსებას გულისხმობდა. სტატიის ბოლოს მოცემულია ის რეკომენდაციები რომელიც საქართველომ უნდა გაითვალისწინოს რეგიონში ახალი რეალობის დადგომის შედეგად.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/266/yarabaghisgakvetilebi>

რეგიონალური სამხედრო დისბალანსი და
საქართველო : დასკვნები მსჯელობისათვის

თარიღი: 12.06.2020

აღსანიშნავია, რომ სტატია წინ უძღოდა
ყარაბაღის ბოლო ომის დაწყებას და მაში
დეტალურად იყო განხილული ის სამხედრო
ბალანსი და პარიტეტი, რომელიც რეგიონის



სამ ქვეყანის - საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომის დაწყებამდე არსებობდა. სტატიაში ძირითად წყაროდ გამოყენებულია სტრატეგიულ სწავლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის გამოცემა “Military Balance”-ის 2019 წლის მონაცემებით. აღსანიშნავია, რომ სტატიაში ნათლად არის წარმოდგენილი აზერბაიჯანის მხარის მატერიალური და ტექნიკური უპირატესობა, რომელიც მას რეგიონში, საქართველოსთან და სომხეთთან მიმართებაში გააჩნდა ომის დაწყებამდე და დღესაც გააჩნია. ასევე, განხილულია ამდაგვარი რეალობის საფრთხეები და გამოწვევები საქართველოსთან მიმართებაში. მოცემულია კონკრეტული ინიციატივები და ხედვები, რომლებიც მიმართული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუტების გაძლიერებისკენ.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია: <https://geocase.ge/ka/publications/167/regionaluri-samkhedro-disbalansi-da-saqartvelo-daskvnebi-msjelobisatvis>

ჰიბრიდული ომის გააზრებისათვის

თარიღი: 11.02.2020

ნაშრომი ეძღვნება ისეთი აქტუალური თემის
განხილვას, როგორიც ჰიბრიდული ომია და
მისი ძირითადი ნაწილი მიმართულია
ჰიბრიდული ომის და მისი ბუნების
განსაზღვრის ირგვლივ, დღეს აკადემიურ



სფეროში არსებული მიდგომების მიმოხილვას. ამასთანვე ჰიბრიდული ომის საკითხი დაყენებულია კარლ ფონ კლაუზევიცის ომის თეორიის ჭრილში და განხილულია მისი ურთიერთდამოკიდებულება დასავლეთის სამხედრო-სტრატეგიული აზროვნების მთავარ თეორიულ საფუძვლებთან, ამასთან ერთად, ავტორი იძლევა მისეულ ხედვას აღნიშნული

საკითხის განმარტებისათვის. ნაშრომი წარმოადგენს ინტერესის სფეროს არა მხოლოდ, დარგის სპეციალისტებისათვის, არამედ უფრო ფართო საზოგადოებისთვისაც.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია: <https://geocase.ge/ka/publications/38/hibriduli-omis-gaazrebistvis>

ბაჩო თორთლაძე - „ჯეოქეისის“ მკვლევარი, საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი

ტიკტოკი-ფართული საფრთხე სახელმწიფო სუვერენიტეტისთვის

თარიღი: 13.05.2020

სტატია განიხილავს ინტერნეტ სივრცის გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება როგორც პერსონალურ მონაცემებს, ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებს. ყურადღება გამახვილებულია სოციალურ ქსელ ტიკტოკზე, რომელმაც მოკლე დროში მოიპოვა პოპულარობა მსოფლიოს არა ერთ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში. პროგრამა განხილულია, როგორც ჩინეთის პროპაგანდისა თუ სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი პრაქტიკული ინსტრუმენტი. გაანალიზებულია უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეები და შეთავაზებულია კონკრეტული ღონისძიებები რისკების დაზღვევისთვის.



წყარო: <https://www.entrepreneur.com/article/347858>

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://www.geocase.ge/ka/publications/145/tiktokifaruli-safitkhe-sakhelmtsifo-suverenitetistvis>

12 წელი აგვისტოს ომიდან- გამოწვევები და პერსპექტივები

თარიღი: 08.08.2020

სტატიაში შეჯამებულია 2008 წლის



აგვისტოს ომიდან 12 წლის თავზე შექმნილი სტატუს კვოს პოლიტიკური და სამართლებრივი

პერიპეტიები. განმარტებულია საქართველოს არალიარების პოლიტიკის ეფექტური წარმოებისთვის, რუსეთის საოკუპაციო ძალად განსაზღვრის მნიშვნელობა. ომის დაწყების საკითხთან დაკავშირებით, არსებული სპეკულაციების გასაქარწყლებლად, ახსნილია საკითხის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები. შეჯამებულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები, მათ შორის, არალიარების პოლიტიკის როლი საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის პროცესში.

წყარო: <https://www.ghn.ge/news/230819-2008-tslis-agvistos-omi-kronika>

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია: <https://www.geocase.ge/ka/publications/211/12-tseli-agvistos-omidan-gamotsvevebi-da-perspeqtivebi>

ინფოგრაფები



“

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ როგორც საქართველო, ისე მისი სტრატეგიული მოკავშირე - ჩვენი ქვეყნის სხვა პარტნიორებთან ერთად - ამჟამად სწორედ იმ „ისტორიულ მოსახვევში“ ვართ, საიდანაც წარმატებით გამოსვლა ჩვენი გრძელვადიანი ერთობლივი ინტერესისა და ღირსების საქმეა.

ვიქტორ ყიფიანი
„ჯეოქეისის“ თავმჯდომარე



“

ბოლო დროს პანდემიასთან დაკავშირებით განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ მხოლოდ ტურიზმზე არ უნდა იყოს საქართველო დამოკიდებული და მნიშვნელოვანია, ახალი მიმართულებების ძიება, განვითარება.

ბაქარ ფალავანდიშვილი
„ჯეოქეისის“ გამგეობის წევრი





“

აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადება ხელს შეუწყობს როგორც სავაჭრო, ასევე უსაფრთხოების სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას.

პროფ.ნათუნა ბურკაძე
„ჯეოქეისის“ მკვლევარი



"საზოგადოების სიმწიფე სწორედ სერიოზული კრიზისის დროს იზომება. დამოუკიდებლობა - კრიზისის დროს გადარჩენისთვის არა მარტო სწორი გეგმის შედგენაში, არამედ საზოგადოების მიერ ამ გეგმის რეალიზებისათვის ერთიანობაშიც ვლინდება."

ზვიად კირთავა






“

საქართველო ევროკავშირისთვის
მთავარი პარტნიორია რეგიონში!
ქართველი ხალხის საბოლოო
მიზნის - საქართველოს
ევროკავშირში გაწევრიანების
მისაღწევად, მნიშვნელოვანია,
შეიქმნას ახალი მინილატერალური
ფორმატები ევროპულ დონეზე
გაერთიანების წევრი ქვეყნების
მეტი მხარდაჭერის მიღების
უზრუნველსაყოფად!

ლიკა ჭიპაშვილი
მკვლევარი



"საქართველომ რეგიონში არსებული
სამხედრო დისბალანსის
გათვალისწინებით, თავისი
თავდაცვის შესაძლებლობების
გაუმჯობესებისკენ უფრო ქმედითი
ნაბიჯები უნდა გადადგას"



გიორგი ანთაძე

GEOCASE



**„66 პოლიტიკური
ორგანიზაციისგან
შემდგარი საარჩევნო
ბიულეტენი
საქართველოს
მოქალაქეებს არჩევნის
ფართო დიაპაზონს
აძლევს და
ინფორმირებული
გადანყვეტილების
მიღების მნიშვნელობას
კიდევ უფრო მეტად
წარმოაჩენს.“**

ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე